ზაალ ნემსაძე

პროფესორ გია ნალაკეიშვილის ჯილდო

$$E=E(n)\ \Psi\ n,l,m$$

თბილისი - 2021

ზაალ ნემსაძე

პროფესორ გია ნადარეიშვილის ჯილდო

თბილისი
2021

ზაალ ნემსაძე:
პროფესორ გია ნადარეიშვილის ჯილდო.
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2021. გვ. 80.

ვინც აღმსარებლობს, რომ ხსნა მხოლოდ უფლისგანაა, ის გადარჩება.

ღირსი ეფრემ ასური

უფლისთვის მე ყოველგვარი სასჯელისთვის მზად ვარ.

რევაზ მიშველაძე

„იესო ქრისტე შორს არ არის თითოეული ჩვენთაგანისაგან. ჩვენსა და მას შორის მხოლოდ ერთი ზღუდეა: ჩვენი ცოდვები“.

აბბა ისაია განდეგილი

„უფლება რომ მომცენ, დრონით, ჩემი პრეპარატით დავამუშავებდი თბილისს და ერთ კვირაში ავუკრავდი გუდა-ნაბადს კორონას“.

გია ნადარეიშვილი,
ექიმი-ჰომეოპათი, აკადემიკოსი,
მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
ჰომეოპატთა ასოციაციის პრეზიდენტი.

რედაქტორი: რევაზ მიშველაძე
კორექორი: ფიქრია ნემსაძე

ISBN 978-9941-8-3572-8

მადლმოსილი

აკადემიკოსი **გია ნადარეიშვილი** ჭეშმარიტი სახალხო მკურნალია.

მისი სახელი კარგა ხანია გაცდა საქართველოს საზღვრებს და მსოფლიო ჰომეოპათიის მაღლა აზიდულ ფარზე საუკეთესოთა შორის იხსენიება.

მისი პროფესიონალური ბრწყინვალება და საუკეთესო მოქალაქეობრივი თვისებები სახალხო მკურნალის დიდი პოპულარობის საიმედო გარანტიაა.

„ძალი შესწევს ქადილისაო“, - სწორედ ბატონ გიაზე ითქმის, რადგანაც ამ მადლმოსილი კაცის კეთილშობილი გარჯის უტყუარი მღაღადებელია ნახევარი მილიონი მორჩენილი ავადმყოფი, რომელთაც კურნებაზე თვითონვე რომ ხელი ჰქონდათ ჩაქნეული.

„სასწაულმოქმედი“ - ასეთი ეპითეტით მოიხსენიებენ ბატონ გიას ისინი, ვინც ჩვეული რუდუნებით სახალხო ექიმმა სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა და ცხოვრებისკენ შემოაბრუნა.

მედიცინის უპირველესი და უძველესი დარგი ჰომეოპათია სამყაროს გასაგონად აცხადებს, რომ ადამიანის სიცოცხლის თუ სიკვდილის მილიარდსახოვანი წყარო თვით ბუნებაშია. დიახ, ბუნებაშია და უმეტესწილად მზამზარეულად.

ბატონი გია ბრძენი კაცის იუველური სიზუსტით ერევა ბუნების ურთულეს პროცესებში. მან კარგად იცის, რომ ერთი მასალის მეორესთან ბრმად შეჯვარება ხშირად სიკვდილის მიზეზს, ანუ საწამლავს ბადებს, მაგრამ იგივე წყაროთა ზომიერი, სკურპულოზურად ზუსტი შეზავება უიმედო ავადმყოფის განკურნების საშუალებას ჰქმნის.

აი, სწორედ ეს მადლიანი კაცია **გია ნადარეიშვილი,** რომლის კარებთანაც ნიადაგ გრძელი რიგი დგას იმ ადამიანებისა, ვინც რწმენით აღსავსენი მიდიან თავის გადამრჩენელთან.

მერედა, რა ბრძოლით, რა ჭირთა თმენით, უვიცობასთან რა შეურიგებელი რკინებით მოიპოვა **გია ნადარეიშვილმა** ის ავტორიტეტი, რითაც იგი მთელ საქართველოში სარგებლობს.

„თვითმკვლელობაა ჩვენში დიდი საქმის დაწყებაო“, - პოეტი **მიხეილ ქვლივიძე** ამბობს.

არა მარტო წარსულში, დღესაც რომ ჩამოუგდებ სიტყვას მაღალ სკამზე მიწეპებულ ჩინოვნიკს; კიბოს, ბრონქიალურ ასთმას და კოვიდ-19-ს ვარჩენო, სკამს უკან გააჩოჩებს და შიშით შემოგხედავს, აშკარაა, რომ გიჟია, ე მანდ ხელში ქვა არ ეჭიროს და არ მდრუზოსო.

რა ძალისხმევა დასჭირდებოდა **გია ნადარეიშვილს,** რომ მსგავსი „ურწმუნო თომები“ თავის სიმართლეში დაერწმუნებინა.

განა არ ვიცი, დადიან თვითმარქვია ექიმბა-შები, დაბადებით დაყოლილ კუზს რომ ასწორე-ბენ, მელოტ თავზე თმა რომ ამოჰყავთ, უშვილო-ბას შელოცვით რომ მკურნალობენ... მაგრამ **გია ნადარეიშვილი** სხვა შემთხვევაა - იგი მკურნა-ლობადაბრალებულთა და მჩხიბავთა მოსაწყენ რიგებს არ მიეკუთვნება. იგი რასაც ამბობს, აკ-ეთებს კიდეც.

ხატზე დავიფიცებ, რომ მე თუ ოდესმე გამი-ჭირდა, ბატონ გიას უყოყმანოდ ვანდობ საკუ-თარ სიცოცხლეს!!!

ძვირფასო მკითხველო,

ამ წიგნის ავტორია წარმატებული მწერალი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, **ზაალ ნემ-საძე.**

უპირველესად ხაზი უნდა გავუსვა იმ გარე-მოებას, რომ ბატონი ზაალი გია ნადარეიშვი-ლის იდუმალებით აღსავსე წარმატებას დიდი ჰომეოპათის მაღალი რწმენით, ანუ ქრისტესმი-ერი მადლით ხსნის.

ავტორი წავა-წამოვა, ფილოსოფიური წიაღ-სვლებით დაზუზღულ შეკითხვას დაუსვამს **გია ნადარეიშვილს.** მეცნიერული სიახლეების კა-ლეიდოსკოპით ცდილობს ახსნას ზოგიერთი გა-საოცარი მოვლენა, მაგრამ იმდენად ღრმაა ად-ამიანის შინაგანი ბუნება და ზოგჯერ იმდენად დამაბნეველია მისი ფენომენი, რომ ისევ ღმერ-

თთან მიდის და ღმერთი ყველაფერზე უტყუარ პასუხს იძლევა.

დამერწმუნეთ, ამ წიგნით **ზაალ ნემსაძემ** აკადემიკოს გია **ნადარეიშვილს** ერთი შთამბეჭდავი, ფრიად ორიგინალური ძეგლი დაუდგა.

რევაზ მიშველაძე,
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე

როცა „ზეციდან შობილნი“ გამოვაქვეყნე, ცხრა მთავარი გმირიდან ყველაზე დიდი აჟიოტაჟი, ექიმ-ჰომეპათის, გია ნადარეიშვილის პიროვნებამ გამოიწვია. „მართლა ასე მაგარია?“ - ეს იყო მთავარი კითხვა. პანაშვიდური მდუმარებით არც სხვა პერსონაჟებს შეხვედრიან მკითხველები. ერთმა მეგობარმა მწერალმა მისაყვედურა კიდეც, მე არ უნდა ვყოფილიყავი მაგ სიაშიო?

ეს დაბადების დღეზე მოწვეულთა ჩამონათვალი რომ ყოფილიყო, ჩემი თავი გენაცვალოს ან მე რას მიყურებ, კანონი და ხელმწიფე კი არ ვარ, დაწერე შენც და თუ გინდა, მარტო ჩახტი შიგ!

მეორემ: მაგ სიაში დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ცოტნე დადიანი და ილია ჭავჭავაძე უნდა შეგეყვანაო.

ო, რა ყურადღებით წაგიკითხავს ჩემო იმანო „ზეციდან შობილნი“! წმინდანებს და აღმსარებლებს სიაში შეყვანას ვაკადრებდი? შეურცხვა ულვაში, ვინც შენ მწერალი დაგიძახოს ამის მერე!

აქვე, ჩემს უფალ მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა მე, თქვენს მონა-მორჩილს, ამ რელიგიურ-დოკუმენტური ესეისთვის „ზეციდან შობილნი“, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია მომანიჭა.

ჩემმა ძმამ და მეგობარმა, მიხეილ ანდღულაძემ მირჩია, ვიდრე ასე, ცალ-ცალკე, ნახევარ სანაცნობოს მოიმდურებდე, შემდეგ წიგნში დაწერე და ნათლად ახსენი, ზეციდან შობილნი რა პრინციპით შეარჩიე. მეც მაინტერესებს როგორ მოვხვდი ამ სიაშიო.

ბატონი ბრძანდებით ჩემო მიშა და ყველა ჩემო მეგობარ-ნაცნობო. ვიძლევი განმარტებას:

ბიძინა ივანიშვილი ზეციდან მაშინ კი არ იშვა, როცა საარაკო ქველმოქმედებით გაიცნო ყველამ, არამედ იმ მომენტიდან, როცა სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხელისუფლებას ჩამოაშორა (სამუდამოდ!!!) მტარვალთა და ანტიქრისტეთა ბანდა! ეს იყო ბიძინას მთავარი ქველმოქმედებაც და ღვთის საამებელი საქმეც.

ჯუმბერ პატიაშვილის ზეციდან დაბადება 1989 წლის 9 აპრილს შედგა იმ მომენტში, როცა მასში ჩადებული უფლის კოდი ამოქმედდა და იგი მომიტინგეებთან არ ჩაუშვა დიდი სურვილის მიუხედავად. ჯუმბერის ხალხთან გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ მოსკოვიდან ჩამოფრენილი სნაიპერები. საერთოდ, 9 აპრილის მოვლენები გამოსაძიებელია. ოდესმე სიმართლე იზეიმებს და დადგება ჟამი, როცა პატიაშვილს ათასჯერ მეტი სიყვარული და დაფასება ექნება.

რომან რურუას მეორედ დაბადება მოხდა არა მისი ძლიერების და წარმატების ზენიტში, არამედ ერთი რიგითი პაექრობის დროს, როცა გატეხილი ნეკნის მიუხედავად, ხალიჩაზე დაბრუნდა და ტრიბუნიდან შემოესმა: „ღრმად ამოისუნთქე და შეუტიე“! რომანი დღემდე დარწმუნებულია, ეს უფლის ხმა იყო.

ნონა გაფრინდაშვილი მეორედ მაშინ დაიბადა, როცა სრულიად ახალგაზრდამ რუსი ელისაბედ ბიკოვა 9:2 გაანადგურა, მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ხრუშჩოვისგან ნაწამებ სამშობლოს იმედის სხივით გაუთბო გული.

ზურაბ წერეთელი ზეციდან მაშინ იშვა, როცა გამორჩეული შედევრი, თბილისის ზღვის მუზეუმი შექმნა - ქვაში და ლითონში ამეტყველებული ქართული სახარება.

ჩემი ძვირფასი მიხეილ ანდღულაძე ზეციდან მაშინ დაიბადა, როცა ასობით იძულებით გადაადგილებული, აღდგომა დღეს, ოკუპირებულ საფლავებზე მიაბრძანა და დიდი სულის საცხონებელი, უფლის და ხალხის საამებელი საკვირველება მოიმოქმედა.

როლანდი კილაძე ჩვენს სასწაულმოქმედ პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ, სულიერად იმდენად ამაღლებული და გასხივოსნებული შეიქმნა, ზემო აჭარის ყველა ქრისტიანული სიწმინდე მოილოცა და ტანსაცმლიანად გადაეშვა

საჭინჭაოს ტბაში: „ახლა თუ გინდა, ტანკთან მაჭიდავეო“, - მითხრა ამოსვლისას.

ჩვენი და არამარტო ჩვენი დროის დიდი მწერალი, არაერთი რომანისა და შვიდასზე მეტი ნოველის ავტორი რეზო მიშველაძე, ზეციდან შობილი რომან „ქრისტეს“ შექმნისას გახდა. როგორც კი რომანის პირველი წინადადება დაიბადა, ზეციდან დაიბადა ჩვენი კლასიკოსიც.

გია ნადარეიშვილზე დაწვრილებით ამ წიგნში მოგახსენებთ. ახლა კი გეტყვით, რომ იგი ზეციდან მაშინ დაიბადა, როცა ნახევარი მილიონი პაციენტის განკურნების შემდეგ, ხუთასიათას მეერთე მიიღო...

2021 წლის 10 აგვისტოა. მე და მიხეილ ანდღულაძე გია ნადარეიშვილის სახლისკენ მივქრივართ. მიშა საჭესთან ზის, გზას ყურადღებით გაჰყურებს და ჩუმად ეცინება.

- რა გიხარია ამ გაგანია პანდემიის დროს? - ვებუზღუნები.

- პანდემიას დღეს და ხვალ მოევლება, მაგრამ გარდაცვლილებს ვინ დაგვიბრუნებს? - იღუშება იგი, - გიას ერთი ოინი გამახსენდა და გამეცინა.

- ამბობს, რომ მოიგონა და შექმნა კოვიდის საწინააღმდეგო პრეპარატი. ერთ კვირაში გავაჩერებ პანდემიას თბილისში, მერე საქართვე-

ლოში და მთელ მსოფლიოშიო, მაგრამ ყურსაც არავინ აბარტყუნებსო, - ვეუბნები.

- გიასგან არაფერი გამიკვირდება, - ხასიათი გამოუკეთდა მიშას, - იცი ნეღან რაზე მეცინებოდა? ერთ დღეს გიამ რომ ამ მანქანის ბაკი წყლით გამავსებინოს, მერე კი შუშიდან ორი-სამი წვეთი თავისი წამალი ჩაურიოს და მანქანა დაიქოქოს ანუ წყალი საწვავად გადააქციოს.

არ გამკვირვებია ამის მოსმენა. გია და მიხეილი ძველი მეგობრები არიან და ერთმანეთზე ყველაფერი იციან.

- სამსახურში, ამ რამდენიმე წლის წინ შიდა ჩემპიონატი ჩაატარეს „ფუტზალში“ განყოფილებებს შორის. ჩემი გუნდი სუმოს ნაკრები გეგონებოდა, - ჰყვება მიშა, - ასოცი კილოგრამიდან ზევით. გიამ ერთი შუშა მომცა და მითხრა: „თამაშის წინ მიიღეთ გუნდმა სამ-სამი წვეთიო“. ჩვენ შვიდ-შვიდი მივიღეთ და ხუთივე თამაში ტოტალური ფეხბურთის სტილში მოვიგეთ. ბდღვირი ავადინეთ მოწინააღმდეგეებს.

წონა და ხორცი არც მე მაკლია და თავი წარმოვიდგინე იმ ფეხბურთელებს შორის. გუნება შესამჩნევად გამომიკეთდა...

გია ნადარეიშვილის მყუდრო და ნათელი ბინის კარი მისმა უფროსმა ქალიშვილმა, მომხიბვლელმა ანიმ გაგვიღო შავწვერა სიმპათიურ ახალგაზრდასთან ერთად, რომელიც იმდენად გამართუ-

ლად წარმოთქვამდა ქართულ სიტყვებს, გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ იტალიიდან იყო. გიას გაეცინა: - ჩემი ანის მეუღლეა, სიცილიელი. ქართულად რამდენიმე ფრაზა ისწავლა.

როცა ცოლ-ქმრის დიალოგი მოვისმინე იტალიურად, ჩიტების ჭიკჭიკი მეგონა. ანიმ სუფრა გაგვიწყო და ანჯელოსთან ერთად საქმეზე გაეშურა. მასპინძელთან დავრჩით მე და მიშა.

აქვე მოგახსენებთ, რომ ანის გარდა, რომელიც ფილოლოგია, ნადარეიშვილებს ექვსი შვილი ჰყავთ. ილია - ერთადერთი დოქტორი-ვირუსოლოგია საქართველოში. 29 წლის ასაკიდან ატარებს ამ ტიტულს. შემდეგი ვაჟი - ნიკოლოზი კომპიუტერის ცნობილი სპეციალისტია; ქეთი - ძველი ბერძნულის უბადლო მცოდნე; სალომე - ჯიპაში სწავლობს ბიზნესის მართვას; მარიამი ახლა გახდა თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ასპროცენტიანი გრანტით, ყველაზე უმცროსი, 11 წლის ზაქარია, რომელსაც მამა მოფერებით შაქროს ეძახის, მოსწავლეა და როგორც გია ამბობს, ყველა და-ძმის საუკეთესო თვისებების „თაიგულია“...

მასპინძელმა ამოსუნთქვაც არ გვაცალა, ლაბორატორიაში გვიკრა თავი. თვალის დახამხამებაში აღმოვჩნდი ისეთ ადგილას, თავი ჰოლივუდურ ფილმში მეგონა. ათასობით წამლით გაძეძგილი შუშა, ალბათ, მთელ საქართველოს ეყოფა

მეორედ მოსვლამდე. აქვეა დრონი, რომელიც მიწის ნაკვეთების მოსარწყავ-სამკურნალოდ გამოიყენება. მასპინძელმა სიამაყით გვაჩვენა ყაზახების ჩამოტანილი მკვდარი, გამოუსადეგარი მიწის ნიმუში, რომლის„ გაცოცხლებაც“ უკვე დაწყებული აქვს და იქვე სახელდახელო ლექციაც წაგვიკითხა, როგორ აპირებს ამას...

- თუ ღმერთის ნება იქნება, ახლო მომავალში საქართველო მსოფლიო რეკორდს მოხსნის 1 ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობით. ახლა რეკორდი 10,3 ტონაა, მე 12 ტონას გადავაჭარბებ, - დააგვირგვინა ბოლოს.

- იზამს ამ საქმეს, ეჭვიც არ მეპარება, - მხარი დაუჭირა მიშამ, - ჩვეულებრივი ქათმის კვერცხის წონა ხომ 52-55 გრამია, ამან კი ჩამოწერილ ქათმებს, კვერცხის დადების ლიმიტი რომ ჰქონდათ ამოწურული, 102-105 გრამიანი კვერცხები დაადებინა. იმასაც დავამატებ, რომ გიას ფუტკრების მკურნალობის და გადარჩენის მეთოდი ერთადერია მსოფლიოში და ამის გამო, მეფუტკრეობის საერთაშორისო ორგანიზაციის - აპიმონდიას - სერთიფიკატიც აქვს მიღებული.

- ამას წინათ, სატელევიზიო გადაცემაში ბრძანეთ, რომ კიტრის მოყვანა მინუს გრადუსზეც შეგიძლიათ ყოველგვარი სათბურის გარეშე, - ვეუბნები მასპინძელს.

- მომავალ ზამთარში გაგასინჯებთ ამ მეთო-

დით მოყვანილ პომიდორსაც და კიტრსაც, - ეღიმება მეცნიერს, - ახლა კი წეროვანის წლევანდელი მოსავალი გავსინჯოთ.

ხუთიოდე წუთში ამ კიტრ-პომიდორმა თავისი გემოთი გაგვაოცა და ლამის 60 წლით უკან, უსასუქო და ბუნებრივი პროდუქტების ეპოქაში დაგვაბრუნა. მასპინძელს ვთხოვე ამ ბაღჩეულის მომყვანთან დავეკავშირებინე: - გია ნადარეიშვილის ოჯახი ააშენა ღმერთმა, - გვიპასუხა ტელეფონში, - ისეთი კიტრ-პომიდორი მოვიყვანე მაგის წყალობით, მუშტარი ბუზივით მეხვევა.

- მოდი, ძმებო, ის პიროვნება ვადღეგრძელოთ ამ სასმისით, - თქვა მასპინძელმა და კონიაკით შეაფერადა ჭიქები, - ვინც ხელს გვიწყობს და ყველა პირობას გვიქმნის იმ მიზნის მიღწევაში, რისთვისაც ვიღვწით... და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, დავით გურგენიძე ადღეგრძელა, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ცდების ჩასატარებლად.

- რა საოცარი გემო აქვს ამ კონიაკს... - გამიკვირდა.

- როგორც ერთი ძველი ფოკუსნიკი იტყოდა, არავითარი მისნობა, ყველაფერი რეალურად ხდება, - წამოდგა გია და პატარა კოლბაში ჩასხმული ზუსტად ამ კონიაკისფერი სითხე გვაჩვენა - 5 გრამი უნდა და მთელი ბოთლი კონიაკი სწორედ ასეთ სუნს და გემოს იღებს, რომელიც

მოგეწონა. უფლის წყალობით, ადამიანს უამრავი ისეთი რამის შექმნა ძალუძს, რაც ბევრს სასწაულად ეჩვენება.

- ჩემო გია, ხშირად გითქვამს, რომ დილას უფლის სადიდებელი ლოცვით იწყებ და ძილის წინაც უფალს მიმართავ, - ვახსენებ მე.

- ასეა, - მპასუხობს, - ჩემი მეუღლე კითხულობს ლოცვებს, მე ვიმეორებ მასთან ერთად, ხოლო როცა ორი ან სამი ადამიანი იკრიბება უფლის სახელით და სადიდებლად, იესოც იქ ბრძანდება იმ დროს.

მეუღლე თეკლა (თეა) რუსიტაშვილი, უსათნოესი, ძალდაუტანებელი მანერების, კეთილშობილი ქალბატონი, მეუღლის ყველა მიღწევის შესახებ ფლობს ენციკლოპედიურ ცოდნას და იგრძნობა, დიდია მისი დამსახურება გია ნადარეიშვილის სუპერწარმატებულობაში. ის სიყვარული და სითბო, რაც ამ ოჯახში სუფევს, კალაპოტში არ ეტევა.

- ამდენი ხნის თეორიული და პრაქტიკული მეცნიერული მოღვაწეობა, წარმატებებთან ერთად, ზოგჯერ მარცხსაც ითვალისწინებს, - ვამბობ და ვკითხულობ, - მარცხის დროს არ ჩხუბობთ?

ორივე გულიანად იცინის და „არაო“ მპასუხობს.

- თუ მომისმენთ, ამ თემაზე ჩემს ერთ დაკვირვებას გაგიზიარებთ, - ამბობს გია:

მეორე ლოყის შეშვერის მაგივრად

ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს არც ერთ სიბრძნეს არ მოჰყოლია აზრთა ისეთი სხვაობა და კამათი, როგორც მარჯვენა ლოყაში სილის შემდეგ მარცხენის შეშვერას. ეს არის კანონი ადამიანთა ურთიერთობების ნორმალიზების შესახებ და არ უნდა გავიგოთ მთლად პირდაპირი მნიშვნელობით. აქ საუბარია იმ ქრისტიანის შესახებ, რომელსაც ძლიერი ნებისყოფა აქვს. ვინ უფრო ძლიერია? ის, ვინც ერთ ჩხვლეტას ათით პასუხობს და ერთ უღირს სიტყვას ათი უღირსი სიტყვით თუ ის, ვინც თავს შეიკავებს? რა თქმა უნდა ის, ვინც თავს დათრგუნავს. როგორ გვჭირდება დღეს ეს! საზოგადოებაში ისეთი ბოღმაა დაგუბებული, რომ ერთი წამოცდენილი, გაფრენილი ურიგო სიტყვა, ხშირად მკვლელობის მიზეზი ხდება. ერთი სიტყვის გამო იწყება ლანძღვა-გინება, ჩხუბი. არადა, თუ ვინმე გაიაზრებს, რისთვის: სიბრიყვის გამო.

უფალი რას გულისხმობს მეორე ლოყის მიშვერაში? ადამიანს ატკინეს, შეურაცხყვეს, მის თავმოყვარეობას შეეხნენ და თუ შეძლებს თავი შეიკავოს საპასუხო დარტყმისაგან, ნახავს, რომ შედეგი მშვიდობაა ოჯახშიც, საზოგადოებაშიც, უცხო ადამიანებთანაც. ამას კი ძალა სჭირდე-

ბა. თუ ძლიერი ხარ, მოიქეცი ასე! თუ არადა დაიწყება დაკა-დაკა.

გავიხსენოთ, როგორ იქცეოდა იესო ქრისტე სასამართლოზე:

„ერთმა იქ მდგომმა მსახურმა გაარტყა იესოს და უთხრა „ასე პასუხობ მღვდელმთავარს?“

მიუგო იესომ: „თუ ცუდად ვთქვი, დამიმოწმე ცუდის შესახებ, და თუ კარგად - რადა მცემ?“ (იოანე 18:22-23).

იქნებ გავიხსენოთ წმინდა წერილის ეს ადგილი, ვიდრე მუშტს, დანას ან იარაღს მივმართავთ მოპასუხის წინააღმდეგ და ვკითხოთ, თუ რამე ცუდად ვთქვი და გაწყენინე, დამარწმუნე ძმაო და ბოდიშს მოგიხდი, შესაფერისად მოვიქცევი. ჩხუბს და დავიდარაბას ყოველთვის მოვასწრებთ.

სულ სხვაგვარი ვითარებაა ომის დროს, როცა ადამიანი მიდის სამშობლოს, საკუთარი ხალხის დასაცავად. ის იბრძვის ძალადობის და სიკვდილის წინააღმდეგ. ამ დროს ესვრი იმას, ვისაც არ იცნობ, წარსულში მასთან არ გქონია მტრული დამოკიდებულება. ვინ იცის, იქნებ შენზე კეთილშობილია, მაგრამ ომის დროს ის ბოროტების გამოვლინებაა, რომელიც ბრძოლით მოიწევს შენი ხალხისკენ და უნდა იბრძოლო მთელი ძალით, შეიძლება თავიც გასწირო. აქ ბოროტების მომტანთან გვაქვს საქმე და არა პირადად ცალკე ადამიანთან.

ეს ისე, განსჯისთვის. პირად ურთიერთობებს დავუბრუნდეთ. ვთქვათ, კამათი ატყდა ოჯახში. გაგლანძღეს სამართლიანად ან უსამართლოდ. თუ ასეთივე პასუხს გასცემ, ამან შეიძლება გაყრამდე მიგიყვანოს. ერთ წამში შეიძლება დაინგრეს წლობით ნაშენი, მაგრამ თუ თავს შეიკავებ და იტყვი: „მაპატიე, არ ვიყავი მართალი“ (არადა, შეიძლება, მართალი ხარ). ბოდიში მოიხადე? ყველაფერი დაწყნარდა, ყველა დამშვიდდა. შემდეგ უკვე დაწყნარებულ გულზე მოილაპარაკებთ, ახსნით ვინ ტყუოდა, ვინ არა. ლოყაში გარტყმა, აფეთქებაა. ბრაზი გონებას ბინდავს, ამიტომ ბრძენი ადამიანი ამბობს: „არასოდეს მიიღო გადაწყვეტილება, როცა განრისხებული ხარ“. დაწყნარდი და ისე გადაწყვიტე და იმოქმედე. აი, ამას ნიშნავს მეორე ლოყის მიშვერა და არა იმის სურვილს, იქნება მაინცდამაინც მეორე შემოგცხონ და დიდი ჩხუბი ატყდეს.

- თუ არ გაჭრა შენმა ქრისტიანულმა ქცევამ? - არ მოეშვა მიხეილი.

- გაჭრის უეჭველად თუ მძიმე კლინიკურ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე.

- კლინიკურის დროს რა ვქნათ? - ჩაეძია.

- გამოგზავნე ჩემთან! მაგის წამალიც მაქვს!

- გამოუგზავნიათ? - ბოლომდე ჩაჰყვა ანდღულაძე.

- კი, - თავი დაუქნია გიამ, - ამ რამდენიმე

წლის წინ. 29 წლის შავგვრემანი ქალი იყო, ახლაც კარგად მახსოვს მისი სახე, ადვილად ღიზიანდებოდა. ჩივილები: ძლიერი აღზნებადობა, გარშემომყოფთა კრიტიკა, მათდამი უკმაყოფილება, გაბოროტება. ოჯახის წევრები ხომ გააწვალა და გაამწარა, მეზობლებიც კი მწიფე მსხალივით აკრიფა ირგვლივ. საშუალო სიმაღლის იყო, გამხდარი, ენერგიული. ენაზე - ცენტრში თეთრი ნადები, ხახა-ჰიპერემიული ნევრასთენიის დიაგნოზით.

- მერე? - ვეღარ მოვითმინე.

- მივეცი წამალი. ორი კვირის შემდეგ მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, სუბიექტური ჩივილები აღარ აღინიშნებოდა, აღარ აწუხებდა გაღიზიანებადობა.

- აგაშენა ღმერთმა! - დალოცა მიხეილმა, - აუჰ, რას დაისვენებდა მაგის ოჯახი და მეზობლები! ნეტავ შენი წვეთები ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის და ჟურნალისტისთვისაც მიგვეცა. რამდენ შარს გადავრჩებოდით.

- პოლიტიკოსები ჩემი ხშირი სტუმრები არიან, - აღიარა ექიმმა, - თუმცა ეგ წამალი ჯერ არავის მოუთხოვია.

- ეტყობათ, ეტყობათ! - ჩაიცინა მიშამ.

- ვუყურებ ამ ხელოვნების ნიმუშებს კედლებზე. მომწონს ძალიან. ვისი შექმნილია? - ვეკითხები მასპინძლებს.

- ჭედურობა ანუ „ჩეკანკა“ გიას ნამუშევრებია. აი, ეს სურათი, თვალს რომ ვერ წყვეტთ, გიას უახლოესი მეგობრის, ჟანრი ლოლაშვილის შემოქმედებაა, - ამბობს ქალბატონი თეკლა.

- მიშას და ჟანრის გარდა, კიდევ მყავს დიდი მეგობარი, გურამ გეჯაძე. სამივე ძმასავით მიყვარს, - გულღია კაცის ნოტები აჟღერდა ნადარეიშვილის ხმაში, - ა, ნახეთ, რა წააწერა ჟანრიმ თავის სურათს მეორე მხრიდან: „გენიალურ გიას ასეთივე ჟანრისაგან“.

ხალხის საყვარელი მსახიობის ამ მართალმა სიტყვებმა, გაგვაცინა. ჟანრი რომ აქ ყოფილიყო, ალბათ, გვეტყოდა: „რა სჭირს ამ ფრაზას დასაცინი, თქვე... (აქ შეიძლება ნებისმიერი სახამუშო არსებითი ან ზედსართავი სახელი ჩასვათ. გენიალურ ჟანრის ჟანრის კრიზისი არ აწუხებს).

- ბევრ ძლიერ ამა სოფლის წარმომადგენელთან გქონიათ ურთიერთობა. ვის გამოარჩევდით?

- ვიდრე გია გიპასუხებთ, ერთ რამეს ვიტყვი, - მობოდიშებით თქვა თეკლამ, - აბბა ისაია ამბობს: „ვინც ამა სოფლის დიდებულებთან ეძებს მეგობრობას, მას მალე ჩაუქრება გულში ღვთის დიდება“. გია სხვა პიროვნებაა, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანია და ყველა ადამიანი ისე უყვარს, როგორც უფალმა ასწავლა. მის-

თვის ერთია მინისტრი, გლეხი და ელჩი. ყველას თანაბრად უნაწილებს გულის სითბოს და სიყვარულს.

- ძველ ბაბილონურ ენაზე სიტყვა „ექიმი“ ნიშნავდა „წყლის მცოდნეს“ ან „ზეთის მცოდნეს“, - თქვა მიხეილმა, - ბიბლიაში ხშირად ნახავთ ფრაზებს ზეთისცხებისა და ლოცვის კავშირზე. გიასთან ბევრი სახელოვანი ადამიანი მკურნალობდა: ჩვენი საყვარელი და უძვირფასესი პატრიარქი, მეუფე შიო, შევარდნაძის ოჯახი,, ცეკვის ჯადოქარი ნინო რამიშვილი, ყველა მოწვევის პარლამენტარები, დიპლომატები, მათ შორის იაპონიის წინა და ახლანდელი ელჩი. თუ არ ვცდები, პუტინთან დაახლოებული გენერალ-პოლკოვნიკიც... თავად გიას არ უყვარს ამ თემაზე საუბარი. მისთვის ყველა ღმერთის შვილია და მათ ისე ექცევა, როგორც უფლისგან მოგზავნილთ ეკადრება...

მოვლენებს წინ გადავუხტები და მეორე დღეს ნადარეიშვილის კლინიკაში სტუმრობისას, მისმა მთავარმა თანაშემწემ, ზოგადი პროფილის ექიმმა, ენდოკრინოლოგმა, ქალბატონმა მარინა რევაზიშვილმა, გია ასე დაახასიათა: - უზომოდ კეთილშობილი, ჯერ ქრისტიანი და მერე ექიმი. ბევრ პაციენტს სრულიად უანგაროდ ეხმარება. ექიმთა შორის ჩემპიონია ქველმოქმედებაში, ბოლომდე იბრძვის ავადმყოფის გადასარჩენად.

ზოგჯერ პაციენტს უთქვამს, ვერ მიშველე, მაგრამ დიდი მადლობაო და აი, ასეთ. იმედდაკარგულ პაციენტს მაინც ბოლომდე მიჰყოლია და სიცოცხლისკენ გამოუბრუნებია. თქვენს წინა წიგნში სწორად გააკეთეთ ანალოგი პეტრე მოციქულის სამკურნალო მოღვაწეობასთან გიას თავდაუზოგავი შრომის.

კლინიკის თანამშრომელმა, ქალბატონმა ნანა მშვილდაძემ კი ორი სიტყვით დაახასიათა: - დიდებული პროფესიონალი!

სამკურნალოდ მოსულთ აღარ გავსაუბრებივარ იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ თავად მე და ჩემი მეუღლე მისი პაციენტები ვართ.

კაცობრიობისთვის უდიდესი სასჯელის, კოვიდ-19-ის უმძიმესი ფორმით გადატანის შემდეგ, რაშიც თავდაუზოგავად დაგვეხმარნენ ინფექციური საავადმყოფოს მედპერსონალი, ბრწყინვალე ქალბატონები ექიმ მაია ჟამუტაშვილის ხელმძღვანელობით, რეაბილიტაციისთვის სწორედ გია ნადარეიშვილის კლინიკას მივმართეთ მიხეილ ანდღულაძის რჩევით. მისი წვეთებით სარეაბილიტაციო სიძნელეები წარმატებით დავძლიეთ და მოხდა სასწაული! მეუღლე - ფიქრია ნემსაძე, რომელიც 41 წლის განმავლობაში ასთმით იტანჯებოდა და ხშირად წამლებიც აღარ შველოდა, რომელიც ზოგჯერ წელიწადში რვა თვე საავადმყოფოში იწვა, რო-

მელთან ერთად მოვიარეთ ყველა ცნობილი ექ-
იმი აქ, დაღესტანში, ყაზანში, მოსკოვში, ვოლ-
გოგრადში და ა.შ. უშედეგოდ, ზუსტად ორ თვე-
ში გია ნადარეიშვილის წამლებით საბოლოოდ
განიკურნა. ამ ექიმმა-ჰომეოპათმა ჩემს თვალ-
წინ დაამარცხა კაცთა მოდგმის დაუძინებელი
მტერი - ბრონქიალური ასთმა და მეუღლემ სა-
ერთოდ შეწყვიტა აეროზოლების და მისთვის
განუყრელი პრეპარატების მიღება. როცა თანა-
მედროვეობის უდიდეს (დიახ, უდიდესს!!!) ექიმს
ვუთხარი ამის შესახებ, ოდნავ გაიღიმა და თქვა:
- სხვა შედეგს არც ველოდი. ჩემს წამლებში შე-
დის ასთმის საწინააღმდეგო საშუალებებიო.

ნუ მიიღებთ ამას რეკლამად! ან თუ გნებავთ,
მიიღეთ!

ვისაც გტანჯავთ ასთმა და ანალოგიური და-
ავადებები, ნუ დაახანებთ - დაუყოვნებლივ მი-
მართეთ გია ნადარეიშვილს!

ეს მოვლენა სწორედ ახლა წამომიტივტივ-
და, ნადარეიშვილებთან სტუმრობისას და სიკ-
ვდილს გადარჩენილი პაციენტის მადლიერება
დამეუფლა. ეს ყველაფერი თვალებიდან რომ არ
გადმომსვლოდა მდუღარე ცრემლების სახით,
ექიმს ვკითხე: - მართლა დაამზადე კორონავი-
რუსის მომრევი პრეპარატი? თუ მზად გაქვს,
რა უშლის ხელს მის გავრცელებას? აქ თუ არ
უნდათ, იქნებ ე.წ. ჯანმოსთვის მიგემართა. დაწ-

ვრილებით ანგარიშს არ ვითხოვ ამ წამლის შექ-
მნის შესახებ, მაგრამ არსებობს ის?

- დიახ, მე დავამარცხე კორონა, - წამოდგა
გია, ოთახში გაიარ-გამოიარა, ისევ დაჯდა და
გააგრძელა, - მაქვს წამალი კოვიდ-19-ის წინა-
აღმდეგ. მის შემადგენლობაში 51 პრეპარატი
შედის ყველა თავისი დანიშნულებით. სიცხის
დამწევი, თრომბის საწინააღმდეგო, ფილტვე-
ბის ვენტილაციის, სატურაციის გასაუმჯობესე-
ბელი, კუნთების ტკივილის მოსახსნელი, ასთმის
საწინააღმდეგო და ა.შ. სხვათ შორის, გველის
შხამსაც ვიყენებ. არაერთხელ განვაცხადე ამ-
ის შესახებ, მაგრამ ყრუ კედელია წინ! უფლება
რომ მომცენ, დრონით, ჩემი პრეპარატით დავა-
მუშავებდი თბილისს და ერთ კვირაში ავუკრავ-
დი გუდა-ნაბადს კორონას!

მეტი რა ქნას? ან მე რა ვქნა? პირდაპირ,
სიტყვა-სიტყვით მოგახსენეთ მისი ნათქვამი.
ვინც ამ საქმეში გადაწყვეტილება უნდა მიიღ-
ოს, მათ გამოსაფხიზლებლად მეტი რა გავაკე-
თო? მათი იღლიაში შეხიცინების, ქეჩოში წა-
მორტყმის ან პანღურის ამორტყმის უფლება არ
მაქვს! მხოლოდ შეყვირება შემიძლია! აცე ვირე-
ბო! ვისაც გადამწყვეტი ძალა აქვს, ის ჩაერთოს!
მისი უდიდებულესობა ხალხი ჩაერთოს! აცრები
კარგია, შესანიშნავია. მეც ავიცერი სინოფარ-
მით და რამდენჯერაც საჭირო იქნება, ავიცრე-

ბი და სხვასაც მოვუწოდებ ამას, მაგრამ როცა დიდი მკურნალი ამბობს, ერთ კვირაში ქვეყნის დედაქალაქს მოვაშორებ ამ უბედურებასო და იცი, რომ ამ კაცს „ძალაც შესწევს ქადილისა!“ მიეცი გზა ფართო!

- ამ წამლის დამზადებაშიც კვანტური მექანიკის პრნციპებიდან იმოქმედე? - იკითხა მიხეილმა.

- რა თქმა უნდა, - თქვა გიამ, - მინდა ჩემი ერთი მოსაზრება გაგიზიაროთ ამის ირგვლივ: ნივთიერებათა ურთიერთქმედება განისაზღვრება იმ ძალებით, რომელიც დამახასიათებელია მათი უმცირესი ნაწილებისთვის ანუ იმ მოძრაობისთვის, რომელშიც მოთავსებულია ატომის ელემენტები - ნაწილაკის შიგნით და თავად ნივთიერების წარმომქმნელ ნაწილაკებშიც. ის მხოლოდ იმიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს სიცოცხლის ნიშანწყლის არქმონედ და უძრავად, რომ კანონები, რომელიც მართავს ნაწილაკების და ატომების მოძრაობას, ზღუდავს შესაძლო გადაადგილების სივრცეს ისევე, როგორც ციური სხეულების მოძრაობის განმსაზღვრელი კანონები ზღუდავს მათ სისტემებს. შესაბამისად, პლანეტები, თავიანთი თანამგზავრებით და მზით, ქმნიან ერთიან უცვლელ მთლიანობას, რომლის შიგნითაც, თუმცაღა, მიმდინარეობს სხვადასხვაგვარი მოძრაობები. შეუძლებელია, -

განაგრძო გიამ, - ვიმეორებ, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მზის სხივებს არ შეაქვთ თავიანთი კანონზომიერი გამოვლინებები იმ ობიექტებზე, რომელიც ხვდება ამ ზეგავლენის ქვეშ. ამის იდენტურად, მზეც ექვემდებარება უკუდასხივებას, რომელიც იმავე ობიექტებისგან მომდინარეობს. კანონზომიერია, რომ შესაბამისი პროცესები მიმდინარეობს ყველა ნაწილაკში (ატომებსა და შემადგენლებში), რომლებისგანაც შედგება სამყარო, ანუ რა გამოდის? - იკითხა გიამ.

- გამოდის, რომ მაკრო და მიკრო ობიექტები ურთიერთდაკავშირებულია, - ვუპასუხე.

- რა თქმა უნდა, ურთიერთდაკავშირებულია და წარმოადგენენ ერთსა და იმავე „თანაარსებობის“ იდეას, - დაასრულა გია ნადარეიშვილმა.

- ისე დაძაბული ვუსმენდი, სული შემეხუთა, - აღიარა მიშამ და გიას მიუბრუნდა, - ერთი ცნობილი ქირურგი ამბობდა, რომ სიმსივნის წინააღმდეგ, ნადარეიშვილის წამალს ვიღებო. გლეხურად გკითხავ, კიბოს არჩენ? სრული განკურნება ხდება თუ წამალი ერთ ადგილზე აჩერებს და განვითარების საშუალებას არ აძლევს სატკივარს? დამეთანხმებით, ესეც უდიდესი მიღწევაა - პროცესის დაკონსერვება.

- დიდი ხანია წარმატებები აქვს ამ მხრივ - ამბობს ქალბატონი თეკლა, - გიას ერთი ახლობე-

ლი წალბატონი, სიმსივნის კრიტიკულ სტადიაში მყოფი, 18 წელი ცოცხლობდა გიას წამლით. მერე და დაეღუპა, თვითონაც ხელი ჩაიქნია სიცოცხლეზე, შეწყვიტა პრეპარატის მიღება და გარდაიცვალა. გიას შეუძლია სიმსივნესთან წარმატებული ბრძოლა. უამრავი მიწვევა აქვს სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ გიას საქართველოს გარეშე უჭირს გაძლება, ვერც აქაურ პაციენტებს მოაკლებს ყურადღებას.

- ეს წამალიც წვეთების სახით გაქვს? - ვეკითხები.

- მისი მიღება ჯერჯერობით ნემსის, აცრით არის შესაძლებელი, - თქვა გიამ წყნარად, - ეფექტი კი საიმედოა.

ხალხნო და ჯამაათნო!!! ბრონქიალური ასთმა! კოვიდ-19! კიბო!

მეტი რა ქნას? კაცი თავს გადაახტა! იქნებ გაიღვიძოთ მანდ, ზემოთ. იქნებ ტყუილებს ვარაკუნებ. გადაამოწმეთ, მიხედეთ. ასი წლის მერე კი არა, დღეს! ახლავე! ისედაც დიდი დროა დაკარგული.

კიდევ ერთი არგუმენტი ურწმუნოთათვის:

2021 წლის 18 აგვისტოს, ოთხშაბათს, 12 სთ. 48 წუთზე, მეუღლესთან ერთად სს „ევექსის კლინიკაში“, პეტრიწის 16-ე კორპუსის მიმდებარედ, ჯავშნის კოდი 917424, 208-ე კაბინეტში, სინოფარმით აცრაზე მივედი. მომსახურება უმ-

აღლეს დონეზეა. როცა ექიმმა ტრაფარეტული კითხვა დასვა ჩვენი ავადმყოფობის ისტორიის თაობაზე და გაიგო, რომ მეუღლეს ბრონქიალური ასთმა ჰქონდა გადატანილი და გია ნადარეიშვილის წამალმა განკურნა, სატურაციის აპარატი მოიმარჯვა და მან... 98 პროცენტი აჩვენა. საავადმყოფოდან გამოწერის დროს, ეს მაჩვენებელი 90 იყო. იქიდან მოყოლებული, ვიდრე აგვისტომდე ჩვენ სხვა პრეპარატი გარდა ჰომეოპათიურისა, არ მიგვიღია. ძალიან გთხოვთ, ვისაც არ გჯერათ ეს ლენინის სიკვდილივით, გამოატარეთ ისინი, ვისაც სჯერათ!

- საერთოდ რა არის ჰომეოპათია? რა ისტორია აქვს? როგორ მოვიდა აქამდე? - დავსვი კითხვები.

- ვიდრე ამ კითხვაზე ძირფესვიანად ვისაუბრებთ, ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, - ამბობს გია და შუბლს ისრესს, - მეცნიერების არც ერთი სფერო არ შეიცავს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. აბსოლუტური ჭეშმარიტება ქრისტიანობაში, როგორც რელიგიაში უნდა ვეძებოთ. ჭეშმარიტი ქრისტიანი და სიკეთე ჩემთვის სინონიმებია. ანტონ დიდი ამბობდა: „ღმერთის შესაცნობად ადამიანისთვის ერთადერთი საშუალება - სიკეთეა“. ჩვენ, ჰომეოპათებმა, კარგად უნდა გავიაზროთ, რომ გარკვეული ჩარჩოებით ვართ შემოსაზღვრულნი და გარკვეულ პირობა-

თა თუ გარემოებათა ტყვეობაში ვიმყოფებით. ეს მით უფრო გასაგები უნდა იყოს იმ ჰომეპატ-თათვის, რომლებიც კლასიკური ჰომეოპათი-ური სკოლის მიღწევებს იცნობენ. ამიტომ, ამ სფეროს ყველა მოღვაწე, ვალდებულია, მაქსი-მალურად ობიექტური იყოს, როგორც საკუთა-რი თავის, ასევე სხვათა მიმართაც. ჩვენ ყველა ერთად ვემსახურებით ქართულ ჰომეოპათიას და უფლება არ გვაქვს დავარღვიოთ კანონი, რომელიც მოგვიწოდებს: „არ ავნო“.

ახლა თვალი გავადევნოთ ჰომეოპათიის („ჰო-მეოპათია“ - „მსგავსი ტკივილი“, „მსგავსი სენი“) საინტერესო ისტორიას, - განაგრძო გიამ, - ძველ ეგვიპტეში მკურნალობის კონკრეტული ხერხე-ბი შეიმჩნევა, რომელიც ძალიან წააგავს ჰომე-ოპათიურს. თუ დავუკვირდებით ძველი საბერ-ძნეთის მკურნალთა საქმიანობას, შევამჩნევთ, რომ „ჰომეოპათიურ აზროვნებასთან“ გვაქვს საქმე. პლატონი ამბობს, ყველაფერი, რაც ზე-ვითაა, ქვევითაც არის; რაც მარცხნივ არის, ის მარჯვნივაცაა. ძველბერძნულმა ფულოსოფიამ ჰიპოკრატე იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ბუნებაში ყველაფერს საკუთარი იდეალური საწყისი გა-აჩნია. მან მსოფლიოს პირველი ჰომეოპათიური წამალი Sepia შესთავაზა, რომელიც ზღვის ხა-მანწკებისგან მზადდება.

- შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მო-

აზროვნე ამ კუთხით გახლდათ პარაცელსიუსი (1493-1541 წ.წ.), - განაგრძო ქალბატონმა თეკლამ, - რომელიც წარმატებით იყენებდა ჰომეოპათიურ მეთოდებს: „ყოველივე არის საწამლავიც და წამალიც, მხოლოდ დოზა გახდის ნივთიერებებს საწამლავად ან წამლად“, - ამბობდა იგი.

- შემდეგ კი, ჩემო თეკლა, - სიტყვა ჩამოართვა მეუღლემ, - იწყება ჰანემანის ეპოქა, უმნიშვნელოვანესი პერიოდი ჰომეოპათიის ისტორიაში. გენიალურმა გერმანელმა მეცნიერმა დააგროვა და შეაჯამა სხვადასხვა დროისა და ეპოქის ფილოსოფოსთა და მოაზროვნეთა მიერ მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება. მან შესთავაზა მსოფლიოს მკურნალობის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდი, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ შეერწყა იმ დროის ტრადიციულ მედიცინას. ამაში ბრალი, გარკვეულწილად, თავად ჰანემანს მიუძღვის, რომელმაც მკურნალობის ერთადერთ დასაშვებ მეთოდად მხოლოდ ჰომეოპათია აღიარა და კლასიკურ მედიცინას სრული იგნორირება გაუკეთა. დასანანია, რომ ორი საუკუნის მანძილზე ჰომეოპათიური მკურნალობა ელიტარულ მეთოდად მოიაზრებოდა, რამაც მისადმი არასწორი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა. არადა, საუკეთესო შედეგი მაშინ დგება, როცა ჰომეოპათია და ალოპათია აქტი-

ურად თანამშრომლობს. კარგია, რომ ეს პროცესი საქართველოში რამდენიმე წელია აქტიურად მიმდინარეობს, რაც იმის საწინდარია, რომ გადავრჩეთ და თავისუფლად შევაბიჯოთ ახალ ერაში!

- შენ და თეკლამ უკვე შეაბიჯეთ ახალ ერაში, თუნდაც იმით, რაც აქ მოვისმინეთ, მაგრამ ჩვენ როდის გაგვიყოლებთ თან? - იხუმრა მიხეილმა.

- არის ამ წუთისოფელში მთავარი რამ, რაც რთულიცაა და მარტივიც. როცა ადამიანი ამის შეცნობას დაიწყებს, მისთვის ახლოსაა ახალი ერაც და ღვთის სასუფეველიც - წყნარი ხმით თქვა ქალბატონმა თეკლამ და განაგრძო: - მართლმადიდებელი ეკლესიის ბოლო დროის წმინდანები ჰომეოპათიას არ უპირისპირდებოდნენ. იოანე კრონშტადტელმა პეტერბურგში პირველი ჰომეოპათიური კლინიკა აკურთხა; წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი პირად წერილში ჰომეოპათიურ მკურნალობას ქებით მოიხსენიებს; იმ ხელმწიფეთა შორის, რომლებიც მფარველობდნენ ჰომეოპათიას - იყო წმინდანად შერაცხული მეფე ნიკოლოზ მეორე; ექიმ ჰომეოპატთა პაციენტები იყვნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მცირე და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი პირველი.

- ეს უტყუარი ცნობებია? - იკითხა მიხეილმა.

- რა თქმა უნდა. არქიმანდრიტი რაფაელი ბრძანებს, - უპასუხა თეკლამ.

- ბასილი დიდი ამბობდა - ექიმმა იმ საშუალებებით უნდა უმკურნალოს, რომელსაც მიწა აძლევსო, - აღნიშნა გიამ, - ჰომეოპათია კი სწორედ მინერალური და მცენარეული პრეპარატებით მკურნალობას გულისხმობს. არქიმანდრიტი რაფაელი მიუთითებდა, რომ ჰანემანის სიცოცხლეშივე დაიწყო ოფიციალური მედიცინის მიერ ჰომეოპათიის შევიწროვება და დევნა. ეკლესიას კი მიაჩნია, რომ ჰომეოპათიის ოკულტიზმში დადანაშაულება საფუძველსაა მოკლებული და ფსიქოლოგიური დევნის ახალ ფორმას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი მათი მხრიდან, ვისაც ჰომეოპათიაში მიღწეული წარმატებების არ სჯერა.

- ქალბატონო თეკლა, თქვენ წელან ბრძანეთ ამ წუთისოფლის რთულის და მარტივის შესახებ. რა გქონდათ მხედველობაში? - ვიკითხე.

ქალბატონ თეკლას პასუხი:

რთული და მარტივი

„შეეძინა ენოქს ყირადი; ყირადმა შვა მეხუაელი, მეხუაელმა შვა მეთუშაელი; მეთუშაელმა შვა ლამექი.

მოიყვანა ლამექმა ორი ცოლი: ერთს სახელად ერქვა ყადა, მეორეს - ცილა. შვა ყადამ იაბალი. იგი იყო კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა.

მის ძმას ერქვა იუბალი; იგი იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა.

შვა ცილამაც თუბალ-კაენი, რვალისა და რკინის მჭედელი. თუბალ-კაენის დას ერქვა ნაყამა.

უთხრა ლამექმა თავის ცოლებს, ყადას და ცილას: ისმინეთ ჩემი, ლამექის ცოლებო, ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი: ჰო, მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად და ყმაწვილი - ჩემდა ჭირად.

თუ შვიდგზის მიეზღვებათ კაენის გამო, ლამექის გამო სამოცდაშვიდ მეტგზის მიეზღვებათ“ (დამატ. 4:18-24).

თეკლამ ბიბლიას თვალი მოსწყვიტა და ზეპირად განაგრძო:

- ლამექი კაენის შთამომავალი იყო. ბიბლიაში მოხსენიებულთაგან ის პირველი მრავალცოლიანი მამაკაცია. მისი ცოლებთან საუბრიდან ვიგებთ, რომ იმ დროს ძალადობის სული ტრიალებდა: ლამექს ორი კაცი მოუკლავს, თუმცა

ხომ გესმით, როგორ იცავს თავს: თუ კაენის სიკვდილის გამო შვიდჯერ მიეზღვებათო, ჩემი სიკვდილისთვის სამოცდაშვიდმეტგზისო, ანუ, განზრახ არ მომიკლავსო.

სწორედ ეს მონაყოლი გახდა მიზეზი, რომ ბიბლიის ეს პერსონაჟი პირდაპირ დაეკავშირებინათ კაენის მკვლელობასთან, რომლისთვისაც ლამექი მისგან წამოსული მეხუთე თაობა იყო. ბიბლიიდან არ ჩანს, როგორ აღესრულა კაენი. არის რამდენიმე წყარო, მათ შორის, იოსებ ფლავიუსის (37-100 წ.წ.), „იუდეის სიძველენი“, აგრეთვე იუდეური კრებული „განძეულის გამოქვაბული“, გვაცნობს, რომ ლამექმა მოკლა კაენი.

ლამექი მონადირე იყო და ხანშიშესულმა თვალისჩინი დაკარგა, სანადიროდ იგი ერთ ყმაწვილს დაჰყავდა იმიტომ, რომ ლამექის მშვილდის ლარის მოზიდვა პატრონის ძლიერი ხელის მეტს, არავის შეეძლო. ეს ყმაწვილი ეხმარებოდა მონადირეს მსხვერპლისკენ მიემართა ისარი, ნიშანში ამოეღო ნადირი. აი, ასე შეხმატკბილებლად ნადირობდნენ ლამექი და მისი დამხმარე ბიჭი. ეს ის დროა, როცა კაენი გაქცეულია ქალაქიდან, გაურბის ადამიანებს, იმალება ტყეში, აცვია ცხოველის ტყავები და ეშინია, რომ აუხდება თავისივე, ღმერთის წინაშე ნათქვამი: „ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა“. ბრმა ლა-

მექმა, ბუჩქებიდან მის დანახვაზე გასაქცევად გამზადებული კაენის ფაჩუნი გაიგონა. იფიქრა, ზორბა ნანადირევი ჩავიგდე ხელშიო. მიზანი გაასწორებინა ყმაწვილს და უნებურად, ყოველგვარი წინასწარი განძრახვის გარეშე, კაენი განგმირა. რითაც დაარღვია უფლის ნიშანი, რომ ვერ მოეკლა იგი (კაენი) ყოველ შემხვედრს. ასე რომ, იოსებ ფლავიუსის ვერსიით კაენი ლამექმა უნებლიედ მოჰკლა.

„მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად, და ყმაწვილი - ჩემდა ჭირად“, - ეუბნება ლამექი ცოლებს.

„განძეულის გამოქვაბულში“ წერია, რომ კაცის მოკვლის შემდეგ, ლამექმა ყმაწვილი უკვე შეგნებულად მოჰკლა, როგორც მისი უნებური დანაშაულის მონაწილე. ასე რომ, სიკვდილი სიკვდილს წარმოშობს, გარდა ერთი სიკვდილისა - ლამექის ისტორიიდან მრავალი ათასი წლის შემდეგ, განკაცებული იესო ქრისტე მობრძანდა დედამიწაზე, იტვირთა ყველა ცოდვა კაცობრიობისა კაენისა და ლამექის ცოდვისგან მოყოლებული და საკუთარი სისხლით გამოგვისყიდა მისი მკვლელი ადამიანები ჯვარზე. სიკვდილით დაამარცხა სიკვდილი და საუკუნო სიცოცხლე მოგვცა ყველას, ვინც მასთან ვართ.

„ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი წინააღმდეგია...“ (მათე 12:30) - ამბობს უფალი. ეს ფრაზა შეიძლება ვინმეს მკაცრი და უხეში მოეჩვენოს,

მაგრამ უფლის დიდი წყალობაა ჩადებული მასში. რისთვის მოვიდა იესო? რატომ ეწამა ჩვენთვის? მოვიდა, რომ მას გავყოლოდით, ანუ გავყვეთ ღმერთს ღმერთისკენ. მან თქვა, რომ ვერავინ იხილა მამა ვერასოდეს, მაგრამ ვინც იხილა იესო, მან იხილა მამაც. მე და მამა ერთი ვართ, ვინც ჩემთან არ არის, ჩემი წინააღმდეგია. ეს იესომ იმიტომ ბრძანა, რომ ადამიანმა იცოდეს გზა ჭეშმარიტების. ის, ვინც იწამებს იესოს, მას ექნება საუკუნო სიცოცხლე. „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 3:16).

აი, ასე: რთული და ამავდროულად მარტივი.

ჩვენი ოჯახის სულიერი მოძღვარი, ბერი ეგნატე, რომელიც სარფში მოღვაწეობს, ხშირად ამბობს: - მიჰყევი ნათელს, მიჰყევი ჭეშმარიტებას, მიჰყევი ქრისტეს, ღმერთს და მაცხოვარს! ამინ!

- მადლობა ქალბატონო თეკლა, - მიმართა მიხეილმა, - შესანიშნავად ახსენით, მაგრამ იქნებ გარეთ გაგვეხედა, ველ-მინდვრებზე.

- რა გაქვს მხედველობაში, - გადავხედე.

- ამ კაცს უამრავი გამოკვლევები აქვს ხორბალზე და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებზე. იქნებ გავაკეთოთ ლირიული გადახვევა და ამის შესახებ გვიამბოს.

- კი, ბატონო, - გაეცინა გიას, - წეღან პლატონი გავიხსენეთ, რომელიც ამბობდა: ყველაფერი რაც ზემოთაა, ქვემოთაც არის. რაც მარჯვნივაა, ის მარცხნივაცაა. აი, ჩვენ ვსუნთქავთ ჰაერით, მაგრამ იგი შეიცავს ყველა იმ ნივთიერებას, რაც ნიადაგში ანუ მიწაშია. ჰომეოპათია კი სწორედ მათი დამაკავშირებელია. კვანტური მექანიკა მოქმედებს. ეს ჭიქა ატომებისგან შედგება და მოგეხსენებათ, მთელი სამყარო ატომებია. აი, ამ ჭიქის ატომები კვანტური მექანიკის კანონით შეიძლება დაუკავშირდნენ იმ ატომებს, რომლებიც აქედან მრავალი ათასი კილომეტრის მანძილზეა. მთავარია საჭირო სიხშირე, საჭირო ტალღა დაიჭიროთ, რომელიც ამათ ერთნაირი აქვთ და მაშინ, ისინი შევლენ კონტაქტში. ამ პრინციპზეა აგებული ჩემი მეთოდიკა, რომელსაც ვიყენებ ნიადაგის კომპონენტების ცვლაში და თუნდაც მცენარის ზრდაში. ასე მოვიქეცი ქართული ხორბლის ჯიშის „წითელი დოლის“ შემთხვევაში. ვიდრე ხორბალს დავთესავდით, ნიადაგი დავამუშავეთ ჰომეოპათიური წყლით. ამით მივეცით ინფორმაცია, რომ მასში შემავალი ბაქტერიები, იგივე ჭიები, იგივე სოკო, იგივე ხოჭოები - გამრავლდეს. უბრალო თემაა: ის ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივაა: სუნი, გემო და ასე შემდეგ, ამინომჟავების კომბინაციაა. სხვადასხვა კომბინაცია იძლევა სხვადასხვა შე-

დეგს, სხვადასხვა ფერს, სუნს და გემოს. ნიადაგში ყველა ბაქტერიას თავისი დამოკიდებულება და ანგარიში აქვს ერთმანეთთან, ჩვენ კი ჰომეოპათიური წყლით ხელს ვუწყობთ ამ პროცესის განვითარებას, რითაც იქმნება ე.წ. ჰუმუსი. რაც მეტია ჰუმუსი, მით უფრო კარგია ნიადაგი. წლების განმავლობაში ნიადაგის არასწორი დამუშავება, ხვნა, შხამ-ქიმიკატების რეგულარულად შეტანა, კლავს ნიადაგს, სპობს ჰუმუსს, რომლის აღდგენას საუკუნე სჭირდება. ამიტომ ჩვენ სხვა გზით წავედით: ამინომჟავებს ვხსნით წყალში, ვასხამთ ნიადაგს, რითაც იქ იწყება უკვე ბუნებრივი პროცესები. ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ასეთმა ცდებმა მოგვცა ფანტასტიკური შედეგი: ჰუმუსი 33 პროცენტით გაიზარდა. მერე დავთესეთ „წითელი დოლის“ ხორბალი. არ შეგვიტანია არც გვარჯილა, არც რომელიმე ქიმიური საშუალება და მივიღეთ უცნაური შედეგი: თუ ერთი ღეროდან ღებულობენ 1-1,5 გ. ხორბალს, ჩვენ 4,5 გრამზე მეტი მივიღეთ, რაც 10 ტონა ხორბალს უდრის ჰექტარზე. ვიმეორებ, ეს არის სუფთა პროდუქტი. გრამი ქიმიური საშუალება არ არის შიგ. დავამატებ იმას, რომ, როცა ხორბალი ამოვიდა, დრონის საშუალებით, ორჯერ მოვასხით ჰომეოპათიური წყალი. ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის ნებისმიერ კულტურაზე... და არ-

ამარტო. გამოვიყენეთ ფუტკარზეც და მიხარია, რომ გარკვეული წარმატებები გვაქვს ამ მხრივაც. ჩემი წამლის მიღების შემდეგ, ერთ-ერთ რეგიონში, ფუტკარი ისე გამოჯანმრთელდა და მოღონიერდა, გასახმობად განწირული წაბლის ტყე დამტვერა და გააცოცხლა...

ძვირფასო მკითხველო. ახლა მინდა გაგაცნოთ რამდენიმე ფერმერი, რომელთაც წარმატება მოუტანა გია ნადარეიშვილთან თანამშრომლობამ.:

გურამ ნატროშვილი, დედოფლისწყარო: - ხორბალს ვამუშავებ გია ნადარეიშვილის რეკომენდაციით. ერთხელ შევწამლე მიწა და დავთესე შეწამლული ხორბალი. ამოვიდა და აპრილში მოვასხი გიას შეზავებული ხსნარი. მალე მივხვდი, რომ მეშველა. კალია, რომელიც ხორბალს აჯდა, მესამე დღეს გაქრა. ვკითხე, რა არის, რითი შემაწამლინე-მეთქი. პასუხად გაიცინა, აიღო ეს „შეწამლული“ და ჩემს თვალწინ შეჭამა. აქედან დასკვნა გავაკეთე: სუფთა პროდუქტი რომ არ იყოს, ხომ არ შეჭამდა? ამით უნდა დაინტერესდეს ხალხიც და მთავრობაც იმიტომ, რომ სადღაა ახლა სუფთა ხორბალი? ჰერბიციდებით, პესტიციტებით და სასუქებით ვიჭყიპებით. თავად მინახავს, გიამ როგორ დათესა ხორბალი მეზობლებზე გვიან და რომ შემოვიდა, მაგისი ხორბალი ორი თავით დიდია და თავთავიც ორ-

ჯერ დიდი. მე მხოლოდ ერთხელ ვიხმარე ნადარეიშვილის პრეპარატი და ისეთი ყანა მაქვს, რომლის მსგავსი ცოტაა დედოფლიწყაროში. ამხელა გვალვების მიუხედავად, თუ გიას რჩევებს მივყვებით, შეგვიძლია მომავალში 9-10-11 ტონა მარცვალი მივიღოთ. მე მჯერა ამ გენიოსი ადამიანის.

ვალერი ბაქრაძე, სარფელი მეფუტკრე: - სკის საფრენებში სისტემატურად ვასხურებ ნადარეიშვილის პრეპარატს. ასე მუშავდება ფუტკარი. მეგობარ მეფუტკრეს (ბავშვობიდან ეწევა ამ საქმეს) 15 ოჯახი ფუტკარი დაეხოცა. მიზეზად ის მოიყვანა, რომ პანდემიის გამო ვერ ვახერხებ თურქეთიდან, ფუტკრისთვის საჭირო პრეპარატების შემოტანასო, რასაც ვხმარობდი ტკიპის წინააღმდეგო. არ დავეთანხმე. თურქეთში რაც ხდება, საქმის კურსში ვარ და იქაც ბევრს დაეხოცა ფუტკარი. თურქული პრეპარატი კარდონივით ქაღალდია, ცეცხლს მოუკიდებ და რომ ახრჩოლდება, საფრენებიდან სკაში შეუშვებ ბოლს ყოველ მესამე დღეს. მეც გამომიყენებია ადრე, ახლა აღარ გაჭრა ამან არც აქ და არც იქ. მე კი გიას პრეპარატი გამოვიყენე და გადასარევად არიან ჩემი ფუტკრები. კიდევ უფრო მეტ უკეთესობას ველი მომავალში. ვუთხარი ეს ჩემს მეგობარს. თურქეთში, ლაზებსაც დაეხოცათ ფუტკრები და რომ გირჩიე თავის დროზე

ნადარეიშვილის წამალი, რატომ არ გამოიყენე-მეთქი. ვერ მოვიცალე, თორემ ჩამოვიდოდი და შეგიწამლავდი სკებს-თქო.

მეფუტკრე ჯანიკო სიჭინავა, ლესიჭინე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი: - ერთმა ბოროტმა ადამიანმა 72 ოჯახი ფუტკარი ისე გადამიწამლა, თითო სკაში თითო მუჭა ფუტკარიღა დამრჩა. საშველი აღარ მქონდა. გამოვიყენე გია ნადარეიშვილის წამალი. ეს იყო ჩემი ბოლო იმედი. რომ იტყვიან, შევაჯინე ფუტკრები გიას წამალზე. ვაძლევდი სიროფის სახით რძესთან და თაფლთან ერთად. შვიდჯერ მივეცი. პარალელურად კვამლსაც ვუშვებდი სკაში. სასწაული მოხდა: მკვდარმა დედა ფუტკარმა დაიწყო კვერცხების დადება! არ შემიძლია ავხნა ეს ფაქტი. ფუტკარი ფეხზე დადგა. ზამთარში სამი-ოთხი ჩარჩოთი შევიდა ფუტკარი. იმ ზამთარს ერთი ოჯახიც არ დამკარგვია. დეკემბერშიც მივეცი ეს წამალი კვამლთან ერთად დაგაზაფხულზეც. თანდათან მოვაღონიერე. სხვასაც ვურჩიე, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკითხი და გონიერი მეფუტკრე იშვიათობაა. გიას წამლის უნიკალურობა ისაა, რომ ფუტკარი ერთ თვეში ღონიერდება. ეს მეფუტკრემ თავად თუ არ ნახა, ვერ დაიჯერებს.

32 ჩარჩოზე ავიდა ნამკურნალევი ფუტკარი. წამოგიდგენიათ, რას ნიშნავს ეს? როცა ირგვლივ ფაროსანას შეწამვლები დაიწყეს, მე

მქონდა ამ მადლიანი კაცის წამლები მომარაგებული და ფუტკარი ისევ გადავარჩინე. შემოდგომაზე თაფლიც ავიღეთ მეც და ჩემმა ორმა მეგობარმა მეფუტკრემაც, რომელთაც ნადარეიშვილის წამალი გამოიყენეს. საოცარი ხარისხის და უნიკალური გემოს თაფლი მივიღეთ. მთელი ამ ხნის მანძილზე, მხოლოდ ერთი ოჯახი ფუტკარი დავკარგე, როცა ახლო-მახლოს ფუტკრის 75 პროცენტი დაიღუპა. აბა რა იქნებოდა? წარმოუდგენელი რაოდენობის ტკიპა იყო. არა და არ მოვეშვი! მივუშვი და მივუშვი ნადარეიშვილის წამალი, სულის მოთქმა არ ვაცალე. ჩემი ფუტკარი ახლა 16-18 ჩარჩოზეა. მეფუტკრეებმა იციან რა სასწაულია ეს მაშინ, როცა აკაცია არაა დაწყებული. რამენაირად უნდა მოხდეს ნადარეიშვილის ამ წამლის პოპულარიზაცია. ეს არის სამყაროს გადარჩენის ერთ-ერთი გზა, რადგან თუ ფუტკარი გაქრება, მოისპობა სამყაროც! ეს წამალი თუ არ წავიდა ფართო მოხმარებაში, ვერაფერი და არაფერი დარჩება ამ წუთისოფელში. სასწაულია ეს პრეპარატი და არც გია ნადარეიშვილია ჩვეულებრივი კაცი.

- მთავარი პრინციპი რომ უფრო ნათლად აგვიხსნა, - ჩავერთე.

- ატომებში დაგროვილია უარყოფითი ენერგია, - დაიწყო ნადარეიშვილმა, - აი, ამისგან ატომის გათავისუფლება არის მთავარი ამოცანა,

რომლის ამოხსნა და გადაწყვეტა იწვევს დადებით ცვლილებებს და განსაკუთრებულ ეფექტს ადამიანებშიც და მცენარეებშიც.

- ანუ?

- ანუ კვანტური მექანიკა და მეურნეობა, - დაბეჭდა მეცნიერმა, - ეს არის მსოფლიოს ხვალინდელი დღე. რას იტყვი მიხეილ ბატონო, კმაყოფილი ხარ ლირიული გადახვევით.

- სავსებით, - გაეღიმა ანდღულაძეს, - თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გურიის დიდი ფირალის, სისონა დარჩიას შთამომავალი ხარ, სულაც არ მიკვირს ატომებთან შენი შეჭიდება.

- მართალს ამბობს, - გამიცინა გიამ ჩემი გაოცებული სახის გამო, - დედა, მარიამ დარჩია ცხონებული სისონას შთამომავალი იყო. ბაბუა სისონას ძე იყო და სტალინს ეხმარებოდა ბათუმში სტამბის საქმეებში. დედა ინტელიგენტი ქალბატონი იყო და სულ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. თავის დროზე ე.წ. „თურქი-მესხების“ გასახლებაშიც მონაწილეობდა. მამა - გივი ნადარეიშვილი, ფინინსპექტორად მუშაობდა, ქვეყნის მოყვარული და წესიერების განსახიერება გახლდათ. ორი და მყავს: ზაირა და ნინო. ვგიჟდები მათზე. ბავშვობის ადრეული პერიოდი ქარელში გავატარე და პირველი „წამლებიც“ მაშინ „დავამზადე“. ვაგროვებდი გვირილას, მრავალძარღვას, სხვა მცენარეებს.

ამათგან ნაყენს ვაკეთებდი და ეკატერინე ბებიას და ბებიის ძმას, ჩემს გამზრდელს - შაქრო ციციშვილს ვასმევდი. შაქრო უბრალო კაცი არ გეგონოთ. სრულიად საბჭოთა კავშირის ოქროს სარეწების შეფი იყო და სსრკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკალაი პოდგორნი, ერთ დროს მისი დაცვის უფროსი იყო. წელან გამომრჩა და ახლა გეტყვი, ბაბუას სტალინმა ყალიონი აჩუქა.

მოუსვენარმა მიშამ მასპინძელს ის ყალიონი მოატანინა, სტალინის პოზით ჩაიდო პირში და სელფიც გადაიღო.

- ბაბუა სანდრო რკინიგზელი იყო, - მოგონებებში ჩაიძირა გია, - ბებია თამარ ციციშვილი ულამაზესი, თვალისმომჭრელი გახლდათ. მისი ძმა იყო ცნობილი მეწარმე ვახტანგ ციციშვილი, რომელიც 1916 წელს მეღვინეობის შესასწავლად გაემგზავრა საფრანგეთში და 26 წლის ასაკში იქ რამდენიმე ცნობილ ღვინის საწარმოს ხელმძღვანელობდა. 1928 წელს მისი რეცეპტით, ქალაქ ბორდოში დამზადდა აი, ეს (ბოთლს გვიჩვენებს) ბრენდი „ნოსტალგია“, რომელსაც ახლავეს დააგემოვნებთ. ვახტანგ ციციშვილი 1964 წელს გარდაიცვალა და ლევილშია დასაფლავებული.

„ნოსტალგიის“ დაგემოვნებამ წუთისოფელს ამაოებაზე ჩაგვაფიქრა.

- მერე ჩემი ოჯახი რუსთავში გადავიდა საცხოვრებლად, - განაგრძო გიამ, - რუსთავის

12-ე რუსულ სკოლაში ვსწავლობდი. დავამთავრე, ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

- მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, - აღნიშნა თეკლამ.

- ფიზკულტურის ინსტიტუტი რამე განსაკუთრებული მოსაზრებით დაამთავრე? - ვკითხე გიას.

- ოცგზის ჩემპიონი ვარ ერთადგილიანი კანოეთი გაცურვაში. 1972 წელს კი საბჭოთა კავშირის პირველობა ავიღე კიევში, - ამაყად თქვა გიამ, - საკავშირო შეჯიბრების მრავალგზის პრიზიორი.

- საშუალება რომ მოგეცეს და მთელი საქართველო გისმენდეს და გიყურებდეს, რას ეტყოდი პირველს საზოგადოებას?

- ხალხო, არ შეგეშინდეთ არც ამ ვირუსის და არც შემდეგის!

- და მსოფლიოს რას ეტყოდი იგივე შემთხვევაში?

- მუდმივად ეძებეთ სიმართლე და ასე მიხვალთ ღმერთთან!

- იქნებ გაიხსენო რამდენიმე გამორჩეული შემთხვევა საექიმო პრაქტიკიდან, - შევთავაზე.

- ბატონი ბრძანდებით. თუ მოსაწყენი არ იქნება, სიამოვნებით.

ნადარეიშვილმა ლეპტოპში საჭირო ადგილი მოძებნა და დაიწყო.

პირველი: ავადმყოფი ქალია, 40 წლის.

ჩივილები: თავის ტკივილი (გადაეცემა უკნიდან წინ), თავბრუსხვევა, სიარულისას აქანავებს, ოფლიანობა, ტკივილი მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში, ცხიმიანი და შემწვარი საკვების მიღების შემდეგ, პირში სიმწარე და სიმშრალე დილაობით. თავის ტკივილი - თბილად შეფუთვისას, თავის მასაჟის და დაბანის დროს მცირდება.

6 წლის წინ გადაიტანა ცერებლარული არაქნოიდიტი და ამ დროიდან, წელიწადში 3-4 თვე, თავის ტკივილების გამო მუშაობა არ შეეძლო.

ბოლო 4 თვის მანძილზე ქოლესტერინი-პანკრეატიტის გამწვავების გამო, მხოლოდ პურს და წყალს იღებდა (ტკივილს მხოლოდ ეს საკვები არ იწვევდა).

ჩემი პრეპარატის მიღების შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდა. დავუნიშნე დამატებითი ერთჯერადი დოზა. 10 დღის შემდეგ პაციენტის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია.

მეორე: ავადმყოფი 49 წლის ქალი.

ჩივილები: კისრის ოსტეოქონდროზი, ვერტებრალური რადიკულონევრიტი, ვერტებრობაზილარული უკმარისობა, ვეგეტო დისტონია, ხშირი ანგიოსპაზმებით, ქრონიკული ქოლეცის-

ტიტი, ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარება, სმენის ნერვის ორმხრივი ანთება.

ზოგადი სისუსტე, ინტენსიური თავის ტკივილი წნევის მომატებით, სიფერმკრთალით, თავბრუსხვევით, კეფაში წვა. სიბნელის, მარტოობის, სიმაღლის შიში. ზოგჯერ ეჩვენება, რომ ვიღაცა ქამარში ხელს ჰკიდებს და დატრიალებს.

ავადმყოფობს 20 წელია. პერიოდულად, ღამით შეენიშნება შემომსალტველი ტკივილები მუცელში, რომელიც ალოპათიური პრეპარატების მიღებისას ძლიერდება. მიდრეკილება ფაღარათისადმი, გულისრევისადმი, შეკრულობისადმი.

ნერვული სტრესის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა, მარცხენა ყურში ხმაური გაუჩნდა, სმენა დაუქვეითდა. მწერების ნაკბენი ძლიერ შეშუპებას იწვევს. გულზე სიმძიმე, დარდიანობა, არასდროს არ უხარია.

დაიწყო ჩემი წამლების მიღება. ხუთი დღის შემდეგ ადგილი ჰქონდა სიმპტომების გამწვავებას, რომელმაც გაიარა 3 დღეში.

ორი კვირის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

მესამე: ავადმყოფი 1 წლის და 3 თვის.

სამშობიარო ტრამვის შემდგომი ნარჩენი მოვლენები და ეპილეფსიური სინდრომი. მიიღო Arnica თავის ტრამვის გამო. 4 თვე გაუმჯობესე-

ბა შეინიშნებოდა, მაგრამ შემდეგ მკვეთრი ხმაურისგან ტონური კრუნჩხვები დაეწყო. ტრანსპორტში გულისრევა აღენიშნა.

სამი კვირის განმავლობაშ ჩემი წამლების მიღების შემდეგ, პაციენტის მდგომარეობა მნიშნელოვნად გაუმჯობესდა. სუბიექტური ჩივილები აღარ აღენიშნებოდა.

მეოთხე: ავადმყოფი, 5 წლის.

ნეიროართრიტული დიათეზი; 2,5 წლიდან ეგზემა აწუხებს, გამონაყარი ძლიერი ქავილით სახეზე, კეფაზე. ძალიან ჭირვეული, უმადო. ადრე შოკოლადი უყვარდა. 4 წლის ასაკში 2 დღის მანძილზე ჰქონდა ღებინება ნაღვლოვანი მასით.

გამხდარი, ნერვიული, კისერზე და სახსრებზე მშრალი, მოწითალო კანი. წინამხარზე, იდაყვებზე ნახეთქები, სისველე.

ჩემი პრეპარატის მიღების შემდეგ პაციენტის მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდა. სუბიექტური და ობიექტური ჩივილები აღარ აღენიშნებოდა.

მეხუთე: ავადმყოფი 60 წლის მამაკაცი.

ჩივილები: არტერიული ჰიპერტენზია, რომელსაც ახლავს თავის ტკივილი. ყურებში ხმაური, საერთო სისუსტე, მთელ ტანზე გამონაყარი, ფაღარათისადმია მიდრეკილი. ტკივილი გულის არეში, ნერვიულობისა და გადატვირთვის დროს გაუარესებით. დიდი ხნის მანძილზე იღ-

ებს ალოპათიურ პრეპარატებს.

ანამნეზი: წითელა, მალარია, ხშირი ანგინები. 40 წლიდან ჰიპერტენზია. 45 წლის ასაკიდან სველი მიკრობული ეგზემა, სისხლმდენი ბუასილი.

დიაგნოზი: ჰიპერტონული დაავადება მეორე ხარისხის, ქრინიკული ქოლეცისტიტი, ეგზემა.

ჩვენთან მოსვლის და წამლების მიღების შემდეგ, ორ კვირაში, პაციენტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

- სათქმელად რა იოლია? - ვეუბნები გიას, - „პაციენტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა“. ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე და დაუღალავი შრომა სჭირდება ამის მიღწევას.

- მართალია, რთულია, მაგრამ... ალბათ კოლუმბის მეზღვაურებს არ გახარებიათ ისე ხმელეთის დანახვა, როგორც ჩვენ, ექიმებს გვიხარია ავადმყოფის გამოჯანმრთელება. მათთან ერთად ჩვენ სულიერად ვიკურნებით, სიცოცხლის ხანი და ხალისი გვემატება. ავადმყოფის გამოჯანმრთელება ჩემთვის სულის ცხონებასავით არის. იოანე ოქროპირი ამბობს: „სულის ცხონება ქრისტიანმა თავის მთავარ და ერთადერთ მიზნად უნდა მიიჩნიოს, სხვა დანარჩენი კი - ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად“, - თქვა გია ნადარეიშვილმა, - გამოჯანმრთელებულ ავადმყოფზე საყვარელი იმ მომენტში ჩემთვის არავინაა, თან ზოგი პაციენტი ისეთი მშვი-

დია, იობის მოთმინებით იტანს ტკივილს. ერთი, 68 წლის ქალბატონი მობრძანდა კლინიკაში. გაუსაძლისი ტკივილი ჰქონდა მარჯვენა კოჭის და მუხლის სახსარში, წვივის ზედა მესამედში, წვივის შეშუპება ღრმა ვენების თრომბოფლემიდის ფონზე, ღრძილების ტკივილი. სიმშრალე და წყლულები პირის ღრუში; ყელში ბურთის შეგრძნება, რომელიც შეუძლებელია გადაყლაპო, უმადობა; ქაჩვითი ხასიათის ტკივილი წელის არეში, „ალები“, საერთო სისუსტე, ამინდის ცვალებადობაზე მდგომარეობა უმწვავდებოდა.

ამის მიუხედავად, მშვიდად იტანდა ყველაფერს. მტკიცე ხასიათის და გახსნილი გონების ადამიანი გახლდათ, კარგი მოსაუბრე და კეთილი პიროვნება.

წამლის სამი დოზის მერე მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო და ნეტავ გენახათ, რა ბედნიერი ვიყავით ყველა, როცა ქალბატონი საბოლოოდ განიკურნა.

- ერთი ჩემი ნაცნობი მოვუყვანე გიას კლინიკაში, - თქვა მიხეილმა, - შემაწუხებელი მომხრჩობი ხველა ჰქონდა. რომ დაიწყებდა, მეგონა აღარასდროს დაამთავრებდა. ცემინება თოფის გასროლის ხმასავით. ცხვირი სულ გაჭედილი და ხშირი მოწმენდისგან გაწითლებული. თან, თურმე, დიზენტერია და კოლიტი აწუხებდა. გახსოვს გია?

- ალერგიული რინიტი ჰქონდა, ქრონიკული

ბრონქიტი ასთმური კომპონენტით; ინფექციურ-ალერგიული პოლიართრიტი; ქრონიკული კოლიტი, - აღნიშნა გიამ.

- ძალიან კი გაგაწვალა, - უთანაგრძნო მიშამ, - მაგრამ... ორი თვის შემდეგ ტყვეობიდან დახსნილი ჩიტივით დაფრინავდა და მე და გიას უზარმაზარი სანთლები დაგვინთო ქაშუეთში.

- ჩემი ახლობლის ბიძა თორმეტგოჯამ გააწამა, - გვეუბნება ქალბატონი თეკლა, - ოპერაციაზე უარი თქვა და აიჩემა, ნადარეიშილის მეტი ვერავინ მიშველისო.

- ჰო, მახსოვს ეგ კაცი, - გაეცინა გიას, - საშუალო სიმაღლის, მოხრილი, კიფოზი ჰქონდა. რენტგენმა თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აჩვენა. ძლივს დავაწყნარე. კაბინეტიდან გასვლას ჩქარობდა. დისშვილმა დატუქსა: „გია-გიას გაიძახოდი და მოგიყვანე. წყნარად იჯექი და მოუსმინეო“.

- ერთ თვეში განიკურნა ის კაცი, - გაიცინა თეკლემ, - მოვარდა კლინიკაში, თურმე, დიდი მადლობებით. კარგა ხანს ყოველ დღე გვირეკავდა და ქებით ცაში ავყავდით.

- მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა, - დავიხმარე ოტელო, - ერთი მეზობელი მყავს, შუა ხნის ქალბატონია. ენამწარე მეზობლები „დაჯღვარკულს“ ეძახდნენ. არ ვიცი, რა სჭირდა, მაგრამ მის ლამის ოთხივე კიდურით სიარულს რომ ვუ-

ყურებდი, საცოდაობით აღარ ვიყავი. ერთხელ კი, ისე ნარნარად გამიარა ეზოში მყოფს, თვალები კინაღამ გადმომცვივდა. დაესია ყველა... - ორი კურსი ჩავიტარე გია ნადარეიშვილთანო, - ამაყად გადმოგვხედა...

- აი, ასე შემოდი ჩემო ძმაო ჩემს ცხოვრებაში, - ვუთხარი გიას, - ვიდრე მე და ჩემს ოჯახს დასჭირდებოდა შენი საექიმო გენია, - და გამახსენდა, როგორი დაოსებული ვჯდებოდით მიხეილ ანდღულაძის მანქანაში მე და მეუღლე კოვიდ-19 სამი დღის მოხდილები, როგორ მიგვიყვანა მიშამ კლინიკაში და სამი დღის შემდეგ როგორ ვიგრძენით უკეთესობა და როგორც უკვე მოგახსენეთ, მეუღლე ოთხი ათეული წლის ხანგრძლივობის ასთმისგან სამუდამოდ განიკურნა. ჭიქა ჭიქებზე მივუჯახუნე უკვე ჩემს უახლოეს მეგობრებს და გია ნადარეიშვილის თამადობით ჩვენი ქრისტესმიერი ერთობის და ახლობლობის სადღეგრძელო წარმოვთქვი: - დალევაზე კი ბოდიშს მოგახსენებთ,ჰომეპათიურ წამლებს ვსვამ და...

- 100 გრამი ჩემი კონიაკი ვერაფერს დაგაკლებს, - დამამშვიდა გიამ, - წამლებს ისედაც სპირტზე ვამზადებ.

- ვთქვათ და პაციენტი რეანიმაციაშია და არ შეუძლია თქვენი წამლების მიღება. რა უნდა ქნას? - ვეკითხები.

- ხელზე წასმაც შველის, ერთი წვეთის ჩაწვეთებაც თუნდაც ცხვირის ნესტოში. ანდა ნემსი და მისი ჯანი! - მპასუხობს და ამატებს, - ნემსების საშუალებით ვებრძვი სიმსივნეს, რადიკულიტს. ჩვენი ნემსით სხეული უძლიერეს იმუნიტეტს იღებს.

- ამას წინათ, სატელევიზიო გამოსვლაში ბრძანე, რომ სამყარო ჰოლოგრამის პრინციპზეა აწყობილი და თუ მას კარგად, მეცნიერულად შევისწავლით, სასწაულის მოხდენა შეგვიძლია. ჰანემანი ახსენე და „მსგავსის მსგავსით“ განკურნების პრინციპი. ამ პრინციპის შესახებ ბულგაკოვთან წამიკითხავს, როცა ვოლანდს სტიოპა ლიხოდეევი არყით გამოჰყავს „პახმელიაზე“. იქვე თქვით, რომ საბჭოთა სისტემა კრძალავდა აინშტეინის გაკრიტიკებას, რომელიც ასაბუთებდა ატომის კუთრი წონა არ აღემატება 10^{-37}-სო. იქვე ამტკიცებდი, რომ ეს მაჩვენებელი $10^{-2000000}$-ია და ესეც არ არის ზღვარიო, - დავაყარე კითხვები.

- საქმე იმაშია, რომ სამყაროს მოწყობის ჰოლოგრამიულ პრინციპს და ათი მინუს ორმილიონიან ხარისხში ატომის წონას, ღმერთის აღიარებამდე მიჰყავს მეცნიერება. თუ სამყაროს მოწყობას და ვარსკვლავების მოძრაობას დავაკვირდებით, ნათელია და უეჭველი, ღმერთი მართავს ყველას და ყველაფერს, - დაასკვნა გიამ.

- გეთანხმები და ჩემს ერთ დაკვირვებასაც შემოგთავაზებ, - ვეუბნები, - თუ ადამიანის ცხოვრების გზას ერთ ხაზად წარმოვიდგენთ, ღმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის, ზემოდან უყურებს ამ გზას, იცის, რომელ წერტილში რა მოგველის. ანუ ის ყველა ადამიანის გზას ხედავს და ყველას არამარტო დასასრულის ჟამი, არამედ მათი ყველა გადაადგილება წინასწარ იცის.

- სწორედ ეგ არის ჰოლოგრამის პრინციპი, - გაეცინა გიას, - კარგად ახსენი. იმ ტელეგადაცემაში, ჭიქიდან ნივთიერების გადმოსხმის მერე, მასში მრავალჯერ წყლის გამოვლებაზე ვისაუბრე და აღვნიშნე, ათასჯერ რომ გამოვავლოთ წყალი, ჭიქაში მეათასე გამოვლების შემდეგაც კი იქნება იმ ნივთიერების ნაწილაკი, რაც სასარგებლოა ადამიანისთვის, მცენარისთვის, ცოცხალი ორგანიზმისთვის. აი, ყველაფერი ამის შეცნობამ მიმიყვანა ღმერთის არსებობის აღიარებასთან და დავიწყე წმინდა წერილების კითხვა. ისე, ძალიან მინდა შენი კონსულტაცია. შეგიძლია ამიხსნა, რაშ მდგომარეობს ლოცვის ძალა? ვიცი, რომ დიდი ცოდნა გაქვს რელიგიურ საკითხებში.

- რამე განსაკუთრებული ცოდნით ვერ დავიკვეხნი. რახან თავად ბრძანეთ, რომ დღე ამ ოჯახში ლოცვით იწყება და ლოცვით მთავრდება, ამ თემაზე ჩემს დაკვირვებას გაგიზიარებთ:

ლოცვის ძალა

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ უფლისადმი ლოცვის ყოველი სიტყვა, ნებისმიერი, წრფელი გულით წარმოთქმული უძლიერესია ყველა, ბუნებაში არსებულ ძალას შორის. მნიშვნელობა არ აქვს ლოცვის ხანგრძლივობას და ენას, რომელზეც საუბრობ. მთავარია, მივმართავთ უშუალოდ ღმერთს, რათა მივიღოთ მისი კურთხევა და წყალობა. ძველთაგანვე ყველა მორწმუნის ლოცვა იყო არ მარტო სულის და გულის წიაღში, არამედ ენაზე და ტუჩებზეც. ეგნატე ღმერთშემოსილი, მტარვალების და მშიერი ლომების გარემოცვაში უფლის სახელს იმეორებდა და აცხადებდა, რაც სულში და გულში მაქვს, ენითაც იმას წარმოვთქვამთო და როცა მხეცებმა დაგლიჯეს და შეჭამეს, მისი გული უვნებლად გადარჩა. წარმართმა ჯალათებმა გული რომ გაჭრეს, სიტყვები „იესო ქრისტე“ ნახეს ოქროთი ამოტვიფრული. დიდება უფალს!

ყველა მორწმუნეს მოეხსენება, რომ უფალი იესო ქრისტე დიდ სასწაულებს ახდენდა მიწიერი ცხოვრების დროს. ისიც ყველამ ვიცით, რომ უფლის სასწაულები დღემდე გრძელდება. მაშ, რა გვიშლის ხელს, ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ზეიმში? ნებისმიერი, ვინც დედამიწაზე ვცხოვრობთ, ერთხელ მაინც შევხებივართ, ცნობიერად

თუ არაცნობიერად სასწაულს და გვიღიარებია, ღმერთი არსებობს! არსებობს უზენაესი ძალა, რომელიც გვშველის ისეთ დროს და ისეთ ვითარებაში, როცა ყველა იმედი დაკარგული გვაქვს და ხელები ჩამოშვებული. ის მოდის და არ გვტოვებს იმ დროსაც, როცა მზად არ ვართ მის მისაღებად. მოდის იმიტომ, რომ მისთვის თითოეული ადამიანი ძვირფასია. ის მოკვდა და აღდგა სწორედ იმისთვის, რომ თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად გადავერჩინეთ! უფალი ძალდატანებას არ იყენებს. ქრისტეში ყველაზე დიდი თავისუფლებაა! ქრისტე გზაა ცხონებისკენ და თუ შენ ირჩევ ბარაბას გზას, როგორც გოლგოთაზე შეკრებილი სეირის მოყვარული ბრბოს წევრი, ეს უკვე მძიმე კლინიკური შემთხვევაა. ასეთი ხალხი ფიქრობს: მიდი სვი, ჭამე, იმხიარულე, ისიამოვნე... თუმცა დგება დღე განურჩევლად ყველასთვის და ხვდებიან, ასეთ ცხოვრებას სიკეთე და ბედნიერება არ მოაქვს. ზოგი ფხიზლდება და იწყებს დაკარგულის ანაზღაურებას და გადარჩენის ამ შანსს ებღაუჭება, რომელსაც უფალი მეთორმეტე ჟამის მუშაკსაც იმავე საწყაოთი უხდის, როგორც დაბადებიდან მორწმუნეს, ისეთივე სიხარულით იღებს, როგორც მამა უძღებ შვილს. სხვა კი ბოლომდე მიჰყვება მოლიპულ გზას და იღუპება, არადა ბედნიერება მისგან ხელის გაწვდენაზე იყო.

იმისთვის, რომ ბედნიერები და ჯანმრთელები ვიყოთ ჩვენც და ჩვენი ოჯახიც, ნუთუ არ გვი-

ღირს ამ მოკლე, მაგრამ უძლიერესი ლოცვის წაკითხვა ყოველ დღეს. აი, ეს სიტყვები, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ადამიანის ბედი:

უფალო იესო ქრისტე, ღვთის ძეო, შემიწყალე მე ცოდვილი!

ან

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი!

წაიკითხეთ ეს ლოცვა დღეში სამჯერ მაინც და გახსოვდეთ ღმერთი! ის აუცილებლად შეგიწყალებთ და გიხსნით! აგვაშორებს ბოროტს და ხიფათს, მოგვცემს ყოველგვარ სიკეთეს და სიხარულს!

- ხშირად ვამბობ ამ ლოცვას და ყოველთვის სულში და გულში სითბო და სიამე მეღვრება, - ღიმილით თქვა მიხეილმა.

- ზაალ, ჩემო, დიდი პატივი დამდე, როცა შენს წიგნში „ზეციდან შობილნი“, ჩემი მოკრძალებული შრომა წმინდა პეტრეს სამკურნალო მოღვაწეობას შეადარე. მოციქულთა თავი ყოველთვის მისაბაძი იყო ჩემთვის და საერთოდ ბევრი წმინდანი არა მარტო სულის, არამედ ფიზიკური სხეულის ექიმები იყვნენ. ბიბლიაში განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ მათ მიმართ ვიჩენდი, - გვეუბნება გია იდუმალი ხმით, - პატარა გამოკვლევაც დავწერე წმინდა ნიკოლოზის შესახებ სათაურით „როგორ გამოიყურებოდა წმინდა ნიკოლოზი“. წავიკითხავ თქვენი ნებართვით:

როგორ გამოიყურებოდა წმინდა ნიკოლოზი?

მინდა ქრისტიანთა ერთ-ერთ ძვირფას წმინდანზე, ნიკოლოზ სასწაულმოქმედზე გიამბობთ, რომელიც დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას და უდიდესი მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრების და მოღვაწეობის. ჩაგრულნი მასში პოულობდნენ მსწრაფლშემწეს და მცველს, უბედურნი - მწყალობელს და ნუგეშისმცემელს. მასთან მოსაუბრენი რწმენაში მტკიცდებოდნენ, წარმართნი სამუდამოდ უარყოფდნენ წარმართობას და ქრისტეს რწმენის მიმდევრები და აღმსარებლები ხდებოდნენ.

წმინდა ნიკოლოზი გარდაცვალების შემდეგაც არ ტოვებს თავის სამწყსოს. დღესაც მფარველობს მწუხარეთ და ტანჯულთ, განსაცდელში მყოფთ, მძიმე სნეულთათვის კვლავ წარმოადგენს კურნების უშრეტ წყაროს. სიკვდილის შემდეგ მას ღმერთმა მეტი სასწაულმოქმედების ნიჭი უბოძა. მისი ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ დასაწყისია იმ მრავალრიცხოვანი საოცრებების, იმ სიკეთის და სათნოებისა, რომელთა კეთებას იგი დღესაც განაგრძობს.

წმინდა ნიკოლოზის კეთილი საქმეების და სასწაულების ჩამოთვლას ტომები არ ეყოფა.

ჩემი მოკრძალებული სურვილია, თქვენთან ერთად გავარკვიო, როგორ გამოიყურებოდა იგი დედამიწაზე ყოფნის პერიოდში.

ჩამოყალიბებულია აზრი და აქსიომადაა მიღებული, რომ წმინდანების რეალურ გარეგნობას მათ ხატებთან არაფერი აქვთ საერთო. თითქოსდა ხატი იმდენად პირობითია, რომ მისით შეუძლებელია იმსჯელო, სინამდვილეში როგორ გამოიყურებოდა რომელიმე წმინდანი. თუმცა მეოცე საუკუნეში ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ხატზე გამოსახულებამ შეიძლება მოგვცეს წმინდანის გარეგნობის განსაკუთრებული ნიშნები.

წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ლუსკუმა მისი მცირე წმინდა ნაწილებით იმყოფება იტალიის ქალაქ ბარში კათოლიკურ ეკლესიაში. სწორედ რომის კათოლიკური ეკლესიის ნებართვით, 1953 წელს, პროფესორმა ლუიჯი მარტინომ გახსნა აღნიშნული ლუსკუმა. სამეცნიერო ექპერიმენტის მიზანი იყო წმინდანის ნამდვილი, ცხოვრებისეული სახის რეკონსტრუქცია.

როცა წმინდა ნაწილები შეისწავლა, პროფესორი მოვიდა დასკვნამდე, რომ წმინდანის ხატის გამოსახულება ლამის ანალოგი იყო ორიგინალისა. აი, ფრაგმენტი მისი ახსნებიდან: „თავის ქალისა და ჩონჩხის მიხედვით, წმინდა-

ნი მიეკუთვნება თეთრ ევროპეიდულ ხმელთაშუაზღვისპირულ რასას, რომლისთვის დამახასიათებელია საშუალოზე მაღალი სიმაღლე და მუქი ფერის კანი. მაღალი შუბლი, არწივისებური ცხვირი, საშუალო სიმაგრის ძვლები“. გარდა ამისა, მარტინომ დაადგინა, რომ წმინდანი არ მიირთმევდა ხორცს, იყენებდა მხოლოდ მცენარეულ საკვებს. დადგინდა სასწაულმოქმედის სიმაღლე - 167 სმ.

მეოცე საუკუნის შუა წლების ტექნოლოგიამ მაინც ვერ შეძლო წმინდანის ვიზუალური მოდელის სრულყოფილი ჩამოყალიბება. დამატებითი ექსპერიმენტი 2005 წელს ჩატარდა ბრიტანელი მეცნიერების მიერ. მათ ვერ მიიღეს კათოლიკური ეკლესიიდან წმინდანის ლუსკუმის გახსნის ნებართვა. ამიტომ მარტინოს გამოკვლევებს დაეყრნენ. 1953 წელს გამოკვლეული მასალები სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანეს და აი, რა დასკვნამდე მივიდნენ. „გამოკვლევების თანახმად, წმინდა ნიკოლოზი 167 სმ სიმაღლის გახლდათ. გარდაცვალების მომენტში 65-70 წლის იყო. ჰქონდა ვაჟკაცური, გულადი ადამიანის სახე, დიდი თავი ძლიერი, უხეში ქალით. აღენიშნებოდა ცხვირის შესამჩნევი მოტეხილობა, რომელზეც აჩნდა მკურნალობის კვალი და ისიც, რომ ეს ამბავი სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე შეემთხვა“.

ბრიტანელების შემდეგ, რუსმა მეცნიერება, რომლებიც წინამორბედების შედეგებს დაეყრდნენ, ვიზუალურ რეკონსტრუქციას ემოციური შტრიხები დაუმატეს, რის შედეგადაც წმინდანის ცხოვრებისეული მოდელი მთლიანად დაემსგავსა მის ხატზე გამოსახულებას.

დაამთავრა გიამ და ლეპტოპი დახურა.

- გენიალურია, - აღნიშნა მიხეილ ანდღულაძემ, - რამდენადაც კარგი ისტორიკოსი დაჰკარგა გიას სახით მსოფლიომ, იმდენად კარგი ექიმი-ჰომეოპათი შეიძინა.

- მადლობა! - ქება შეიფერა და თავის დაუკრა ნადარეიშვილმა.

- როცა მსოფლიო რეკორდის 12 ტონამდე აყვანაზე საუბრობდი და ამ მიმართულებით ჰომეოპათიური წყლის გამოყენებაზე, რატომ არ გაიხსენე ის უზარმაზარი ტბორის ბინძური წყალი, რომელიც ჰომეოპათით გაასუფთავე? - არ მოეშვა მიშა.

- მეგობრებმა მთხოვეს და რომ იტყვიან, სპორტული ინტერესების გამო ჩავერთვე, - უპასუხა გიამ.

ამის მშვიდად მოსმენა ჩემთვის ყოვლად შეუწყნარებელი იყო და: - მართლა შეგიძლია წყლის გაწმენდა-გასუფთავება? თუ მაგარი ხარ ნატახტარის წყალსაცავს ან თბილისის ზღვას შეეჭიდე. ჩემი უფროსი მეგობრები რომან რუ-

რუა და აკადემიკოსი პაატა გიორგაძე თვლიან, როცა წყალი მილში ხვდება და მოსახლეობისკენ იღებს მიმართულებას, 20 მეტრის გავლის შემდეგ კვდება და ჩვენამდე იმ სახით მოდის, მისი სასმელად გამოყენება არ შეიძლება. შეგიძლია ეს პროცესი ისე მართო, რომ ნამდვილი, ცოცხალი წყალი მოვიდეს ჩვენთან?

- შეუძლებელი არაფერია, - ისეთი ტონით მიპასუხა გია ნადარეიშვილმა, ვიგრძენი, ნაფიქრი აქვს ამ თემაზე, - შენ თავად ამბობ, რომ მორწმუნესთვის შეუძლებელია არაფერია და შევთხოვ მას დამეხმაროს ამ საქმეში ისე, როგორც ყველაფერში მეხმარება. შ-ე-ვ-ძ-ლ-ე-ბ! - დამარცვლა ერთგვარი ჟინით.

ახლა, თბილისის მერს რომ არ მივმართო, გული გამისკდება!

ბატონო კახა! მრავალჯერ დაამტკიცეთ, რომ თბილისის საუკეთესო მერი ბრძანდებით. ახლა კი გეძლევათ უნიკალური შანსი, ყველას აჩვენოთ, რომ არა მარტო საუკეთესო მერი, არამედ თბილისის 1500 წლიანი ისტორიის მანძილზე, მისი საუკეთესო ხელმძღვანელი ხართ. წყლის გასუფთავება-გაცოცხლების იდეის გარდა, გია ნადარეიშვილს თბილისისთვის საჭირო მოსაზრებები და რჩევები აქვს და თქვენი შეხვედრა და გულღია დიალოგი უეჭველად წაადგება საქმეს! მეტს აღარაფერს ვიტყვი. ვიცი თქვენი გუ-

ლისხმიერების და მაღალი ქრისტიანული იდეალების შესახებ?

- როცა პაციენტებზე საუბრობდი, მათ შორის ბავშვებიც იყვნენ. არ ხარ ჩვეულებრივი მოკვდავი და უეჭველია გიფიქრია, მაპატიე ტრაფარეტისთვის და ბავშვების სულიერი და ფიზიკური განვითარების თაობაზე.

- არა თუ უფიქრია, ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, - თქვა თეკლამ საზეიმო ხმით, - გიას შეუძლია კანფეტების და ბურთულების ფორმით, ჩვენს მომავალ თაობას მიაწოდოს ჰომეოპათიური საშუალება, რომელიც კურნავს ნებისმიერ დარღვევას, თუნდაც აუტიზმს და წიკებს, ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ განვითარებას და თუნდაც, სიმაღლეში ზრდას.

- მერე რას უყურებ შე კარგად სამყოფო? - ადუღდა მიხეილი, - ვის უმალავ? ატეხე ერთი ამბავი და გააგებინე ხალხს, თუმცა, ეტყობა, ჯერ არ დამდგარა მაგის დრო. ხალხი, ხშირად, მზად არ არის სიახლის მისაღებად.

- მართალი ხარ. ხალხის სერიოზული რაოდენობა ზოგჯერ ბიბლიას ეწინააღმდეგება და ნადარეიშვილს რომ არ დაუჯეროს, რა გასაკვირია? - „დავამშვიდე“.

- როგორ, მართლმადიდებელი ეწინააღმდეგება ბიბლიას? ვერ ვიჯერებ, - აღშფოთდა მიშა.

- სამწუხაროდ, - დავუქნიე თავი, - არის ასეთ ფენომენი (სხვაგვარად ვერ ვუწოდებ!), რომ-ლის მთელი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავს ქრისტიანად თვლის, ბიბ-ლია ავტორიტეტულ წიგნად მიაჩნია და ამასთა-ნავე, ზოგჯერ ეწინააღმდეგება მას.

ქრისტიანი და ბიბლია

არ მესმის, როგორ შეიძლება ეს? თუ თავს ქრისტიანად მიიჩნევ და ამავე დროს, ამა თუ იმ საკითხში ბიბლიას არ ეთანხმები, რომელ ქრისტიანობაზე საუბრობ? ბიბლიის უნიკალურობა ისაა, რომ მისი ან მთლიანად გჯერა, ან საერთოდ არ გჯერა. ეს ის კი არ არის, აქ მახსოვს და აქ - არა!

და მაინც, როგორ საზღვრავთ, ბიბლიის რომელი ადგილი იმსახურებს თქვენს „მაღალ“ ყურადღებას? რომელს აყენებთ ეჭქვეშ? შერჩევის რა კრიტერიუმი გაქვთ? ანუ ადასტურებთ იესო ქრისტეს ღვთისშვილობას, აღიარებთ მის ჯვარცმას და აღდგომას და იქვე მიუთითებთ, რომ იესო ზოგჯერ მცდარად ხედავდა მოვლენებს? ერთი ბიბლიის ექსპერტობადაჩემებული ქალბატონი იქამდე დავიდა, რომ ყველას გასაგონად წამოროშა, ქრისტემ თავისი პროვოკაციით (ღმერთო მაპატიე და აპატიე ამ საწყალსაც!) აიძულა ისრაელი ჯვარს ეცვა იგიო. ზოგს მოციქულებში ეპარება ეჭვი, ეს ადგილი არასწორად გადმოგვცესო, ზოგი თარგმანს იწუნებს.

ვერ გამიგია - თუ თქვენ არ გჯერათ ან ეჭვი შეგაქვთ ბიბლიის ერთ ნაწილში, სხვა ადგილების როგორღა გჯერათ? როგორ შეგიძლიათ ბიბლიის ციტირება, თუ მას არ ენდობით? დრო

ხომ არ დაგიდგათ, ჯერ საკუთარ ტვინში გაარკვიოთ საკითხები და ჩამოყალიბდეთ, მიიღოთ ბიბლია, როგორც უფლის სიტყვა თუ არა!

ქრისტიანი არის ის, ვინც ქრისტეს მოძღვრებას მიჰყვება! მოძღვრება კი ბიბლიაშია ჩაწერილი. ამიტომ ქრისტიანი ბიბლიას უნდა გაჰყვეს და არა ეკამათოს მას. კონკრეტულად ქრისტიანთა მიმართ მოგახსენებთ და არა იმათ გასაგონად, რომელთაც არაფერი სწამთ.

რატომ ვამბობ ყოველივე ამას? იმიტომ, რომ ზოგიერთი ქრისტიანი ცდილობს ღალატის გამართლებას და ამ მიზნით იმ ეპიზოდს იხსენებს, სადაც უფალი ბრძანებს: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა“ (იოანე 8:7).

რამდენად გონებადახშული უნდა იყო, რომ ამ ეპიზოდში, უფლის მიერ ცოლქმრული ღალატის გამართლება და სულო ცოდვილო მხარდაჭერა დაინახო. პირიქით, უფალმა სარკეში ჩაახედა მთელი ბრბო, საკუთარი ცოდვები დაანახა. ამიტომ გაიძურწნენ ისინი და შენც, რომელიც იმ იგავში უფლის საქციელს ეჭვით უყურებ, რით განსხვავდები ქვამომარჯვებული იმ ხალხისგან? როგორ შეგიძლია იმის თქმა, რომ ქმარი აბსოლუტურად მართალია, როცა ღალატისთვის სხვას ეძებს ან ცოლი, რომელიც ანალოგიურად იქცევა? როგორ შეიძლება ცოდვის

გამართლება? აი, ბიბლია რას ამბობს:

„ყველა ცოლქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელი - შეუბილწავი. მეძავებსა და მრუშებს კი ღმერთი განიკითხავს (ებრ. 13:4).

„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველში? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი (1 კორინ. 6:9).

„გაექეცით სიძვას. ყოველი ცოდვა, რომელსაც ადამიანი სჩადის, სხეულის გარეშეა, ხოლო მეძავი სხეულის წინააღმდეგ სცოდავს“ (1 კორ. 6:18).

„ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულება...

...სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ“ (გალატ. 5:19,21).

ეს ამდენი ადგილი წმინდა წერილიდან იმიტომ მოვიტანე, რომ მთავარ სათქმელს მივუბრუნდე: ბიბლია ერთადერთი შეუვალი და მართალი წყაროა! ყველაფერზე აქვს პასუხი. ამიტომ უნდა ვილოცოთ და ვთხოვოთ უფალს სიბრძნე, რომ მიგვახვედროს, რა სიმდიდრე ჩადო ამ წიგნში. მხოლოს წაკითხვა კი არა, გააზ-

რება გვიბოძოს. ეს აუცილებელია არა მხოლოდ კითხვებზე პასუხების მისაღებად, არამედ იმისთვისაც, რომ თავად ჩვენ არ დავეცეთ ცოდვაში და არ ჩავვარდეთ ერესში.

„მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში.

რათა სრულყოფილი იყოს ღვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისთვის განმზადებული“ (IIტიმ. 3:16-17).

- რაც აქ ვისაუბრეთ, თუ ამას საქმეც არ მოჰყვა სასწრაფოდ, ყველაფერი წყალში ჩაიყრება, - თქვა მიხეილმა და წამოდგა, - შენს ადგილას, მე ბავშვებისთვის განმაკურნებელი კანფეტების საქმეს მივანიჭებდი პრიორიტეტს და ქვეყანას შევძრავდი. გაიხსენეთ მათე 19:13-15.

„მაშინ მოიყვანეს მასთან ბავშები, რომ ხელი დაედო და ელოცა მათთვის, მოწაფეები კი საყვედურობდნენ მათ.

ხოლო იესომ უთხრა: „გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი.

დაადო მათ ხელი და წავიდა იქიდან“.

- მიხეილი მართალია, - ჩავერთე მეც, - მოდი კანფეტით და სიტკბოთი დაიწყე ის დიდი საქმეები, რომელიც წინ გელოდება.

მერე მე და მიხეილ ანდღულაძე ჩვენს ძვირ-

ფას მასპინძლებს დავემშვიდობეთ და იმედმოცემულები გავეშურეთ სახლისკენ... იღუმენი ნიკონის სიტყვები გამახსენდა: „სულის ზეიმია ვნებებზე გამარჯვება, როდესაც აღესრულება თავშეკავების ღვაწლი“.

მეორე დღეს, ანუ 11 აგვისტოს ნადარეიშვილს კლინიკაში ვესტუმრე, როგორც პაციენტი. გიას ავადმყოფის მოსმენის ცოტა უცნაური მანერა აქვს. ერთს იკითხავს, რა გჭირთო, მერე კალამს მოიმარჯვებს და წერს თავისთვის, თითქოს არ გისმენს. მერე დაწერილ, შევსებულ ფურცელს გადმოგცემს და გიშვებს გვერდით კაბინეტში, სადაც გიმზადებენ წამალ-სასწაულს.

- იქნებ პაციენტს აინტერესებს რა სჭირს. წამალს რომ უწერ და დიაგნოზს არ აცნობ, ცოტა მიკვირს, - ვეუბნები.

- მე რომ პაციენტთა უმრავლესობას ვუთხრა რა სჭირს, ანუ დიაგნოზი გავაცნო, შეიძლება ამ ოთახიდან ცოცხალი ვეღარ გავიდეს, გული გაუსკდეს! ამიტომ, სჯობს, წამალი წაიღოს და დანიშნულებისამებრ გამოიყენოს. შენ რომ პირველად მოხვედი და მეთქვა რა გჭირდა, მაგ სკამზევე დაკარგავდი გრძნობას. გავიდა აგერ ლამის მეოთხე თვე და ხარ ჯიქივით.

რას ვერჩი? სიმართლეა. მაისის ათში მოვხანხალდი კოვიდ ახალგადატანილი. ჰაერის უკ-

მარისობასთან ერთად, ყველა ძვალი და სახსარი მტკიოდა. ახლა? ახლა ჩემი ასაკის და წონის მიუხედავად, აღარც სუნთქვა მიჭირს და აღარც მოძრაობა.

და კიდევ ერთი: თუ ისეთი რამ გჭირს, რასაც ნადარეიშვილის წამალი ჯერჯერობით ვერ ერევა, ამას პირდაპირ, დაუფარავად გეტყვიან გიაც და მეორე ექიმიც, ქალბატონი მარინა რევაზიშვილიც: მაგ. ერთ ქალბატონს ჩემი თანდასწრებით უთხრეს, რომ კატარაქტაზე ჯერ ჩვენს წამლებს ეფექტი არ აქვს და ოფთალმოლოგს მიმართეთო.

- სიმართლე და პატიოსნება მთავარია ნებისმიერ საქმეში, - ამბობს გია, - ამის გარეშე შეუძლებელია წინ წასვლა და ყველაზე მთავარი: უფლის ნებას პლუს ცოდნა, გამოცდილება და შრომა. ექიმისთვის, ვიმეორებ ადრინდელ ნათქვამს, არაფერია გადარჩენილ სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი ჯილდო.

და ეს ჯილდო აკადემიკოს გია ნადარეიშვილს, უფლის წყალობით უთვალავი აქვს, თუ მის მიერ გადარჩენილთა რაოდენობას გავითვალისწინებთ.

მთავარი ჯილდო კი მისთვის სიყვარულია - უფლისადმი და ადამიანებისადმი. სახარებისეული სიყვარულია მისი ცხოვრების ანი და ჰაე. ზეპირად იცის და ხშირად წარმოთქვამს პავლე

მოციქულის პირველ წერილს კორინთელთა მიმართ, რომელიც 55 წელს დაიწერა ეფესოში. განსაკუთრებით კი ეს ადგილი უყვარს: 13:3-13:

„მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავსწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ.

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს,

არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს,

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს.

სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება. ენები - შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

ვინაიდან ნაწილობრივ ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ.

და როცა სრულყოფილი მოვა, ნაწილობრივ განქარდება.

როცა ბალღი ვიყავი, ბალღურად ვმსჯელობდი, ხოლო როცა მამაკაცი გავხდი, ყოველივე ბალღური მივატოვე.

ვინაიდან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ. ახლა ვიცით მცი-

რეოდენი, ხოლო მაშინ შევიცნობ ისე, როგორც მე ვარ შეცნობილი.

ახლა კი რჩება რწმენა, იმედი და სიყვარული - ეს სამი. ხოლო მათთაგან სიყვარულია უმეტესი“.

რწმენა, იმედი და სიყვარული - სწორედ ამ დედაბოძზეა დაფუძნებული ჩემი ძვირფასი მეგობრების - გია ნადარეიშვილის და თეკლა რუსიტაშვილის ოჯახი და რწმენა, იმედი და სიყვარული მოაქვთ მთელი მსოფლიოსთვის.

ახლა კი მინდა მოგითხროთ იმ მთავარ მისიაზე, რისთვისაც მოავლინა არსთა განმრიგემ გია ნადარეიშვილი დედამიწაზე:

- განვიხილოთ დრო, რომელშიც ხდება გარკვეული პროცესები. ეს პროცესები შეიძლება დავაჩქაროთ კონკრეტული ჩარევებით, ისეთით, როგორიცაა ტემპერატურა. თუ ტემპერატურა არ იცვლება და პროცესი მაინც ჩქარდება, იბადება კითხვა - რის გამო? დავუშვათ ინფორმაციით (რაც, აგრეთვე ენერგეტიკულია). ანუ გამოდის, ინფორმაციას შეუძლია ტემპერატურის შეცვლა. ე.ი. გარკვეული წინასწარ დაპროგრამებული ტალღური რხევებით, რომელიც მოქმედებს ატომზე, შეიძლება დამატებითი „ინფორმაციის“ შეტანით ატომის საბოლოო სტრუქტურის შეცვლა. მთავარი კითხვა კი ამ მეცნიერების (კვანტური ფიზიკის) გადაჯაჭ-

ვულობის ფაქტორშია. რას ნიშნავს კვანტური გადაჯაჭვულობა ანუ კვანტური ჩახლართულობა? ეს გახლავთ კვანტურ-მექანიკური მოვლენა, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე ობიექტის კვანტური მდგომარეობები ურთიერთდამოკიდებულია. ასეთ ურთიერთდამოკიდებულება ნარჩუნდება მაშინაც კი, თუკი ეს ობიექტები მიმოფანტულია სივრცეში ნებისმიერი ფუნდამენტური ურთიერთქმედების ფარგლებს გარეთ, რაც ერთი შეხედვით ლოგიკურ წინააღმდეგობაში იმყოფება ლოკალურობის პრინციპთან. კვანტური გადაჯაჭვულობის ეფექტები ექსპერიმენტულად იყო დემონსტრირებული ფოტონებზე, ნეიტრონებზე, ელექტრონებზე, მოლეკულებზე და პატარა ალმასებზეც კი. ამ გადაჯაჭვულობის შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე თეორიული ფიზიკის მნიშნელოვან ამოცანას. ბოლო წლების განმავლობაში ეს რჩება კვლევის აქტუალურ ობიექტად, როგორც ფიზიკის, ასევე მათემატიკის თვალსაზრისით. გადახლართულობის მათემატიკური ასპექტების აღწერის პრობლემატიკა წარმოადგენს კომპლექსური კვლევის ამოცანას.

„გადაჯაჭვულობის“ განსაზღვრებით ატომის ნაწილაკი ერთდროულად შეიძლება იყოს კოსმოსის ნებისმიერ ნაწილში და თუ ეს ასეა, ჩვენ საერთოდ ვერ ვაცნობიერებთ ვინ ვართ

და რისთვის ვარსებობთ. პლანკის და აინშტა-ინის მიხედვით, თითქოს ყველაფერი მარტი-ვია და კანონზომიერი, მაგრამ ეს „კანონზომი-ერება“, შეგნებულად ჩაფიქრებული ბოდვა და სიცრუეა. რა არის სიცოცხლე - კვერცხუჯრედი, სპერმატოზოიდი და ზიგოტა (განაყოფიერებ-ული კვერცხუჯრედი)? რისთვის სჭირდება უფ-ალს ძალიან მცირე ნაწილაკები „სიცოცხლისა და გონისა“, სამყაროში? იმიტომ, რომ ჩვენ არა მხოლოდ სულით, არამედ „გონით, შემეცნებით“ მივიდეთ მასთან? მაგრამ კვანტური ფიზიკის თეორიით - უფალი ჩვენშია და ჩვენ - უფალში.

აი, ის ამოცანა, რომლის ამოსახსნელად მო-ავლინა უფალმა გია ნადარეიშვილი ამ პლანე-ტაზე!

როცა გია თავისდაუნებურად მომიყვა ამ მი-სიაზე, გონებაში ჩემი 2019 წელს გამოცემული წიგნის, „სცენარების“ ერთ-ერთი სცენარის „ტა-ტო“, რამდენიმე მონაკვეთი ამომიტივტივდა:

1. ...„მესამე გვერდზე კი, იმ დასკვნამდე მივ-სულვარ, რომ „ყველაფერი, სრულყოფილების მიღწევის შემდეგ ნულისკენ ანუ სიკვდილის-კენ მიისწრაფვის.“ ასეა, ვწერდი: „იბადება, იზ-რდება, იფურჩქნება, სრულყოფილებას აღწევს. მერე იწყებს დაბერებას, დაჩუტვას, ბოლოს კვდება, ანუ ნულდება. როგორ გავახანგრძლი-ვოთ სრულყოფილებაში სიცოცხლე? რა ფორ-

მულით? აი, ეს ფორმულად: 1 - $\sqrt{VC}: t - 1 = X$. როგორ გავხადო t, ანუ დრო, ნულის ტოლი? როგორ გავაჩერო ის? რა განზომილებაში უნდა გადავიდე? სად არის პასუხი? ჩემი მასწავლებელი ამბობდა, ადამიანი ვიბრაციაა, მეტი არაფერიო. თუ ჩემს წინ აღმართული კედელია, 100-მეტრიანი და მხოლოდ მის ერთ წვრილ ზოლს ვხედავ, რადგან მეტს ჩემი თვალი ვერ აღიქვამს, რა იქნება, უფრო მეტს რომ ვხედავდე? ანდა შვიდი ფერის ნაცვლად 3500-ს რომ ვხედავდე? მაშინ, მე შევძლებდი სიკვდილის დამარცხებას? ა, რა საინტერესო იქნებოდა, ხომ ასეა?“ აქ ნაწერი თავდებოდა.

აი, ასე დაიწყო ბატონებო. ამ დღიდან ამით ვიტანჯებოდი. განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა კი იმ ღამით, ხილვაში გამოცხადებული ფორმულის გამო მკლავდა. ერთი ვიცოდი, რომ t - დრო იყო, ხოლო თუ რას ნიშნავდა კვადრატული ფესვის წინ დაწერილი ერთიანი და დანარჩენი სიმბოლოები, ეს გაუგებარი იყო. მთელი ორმოცი წელი შევალიე ფორმულის ამოხსნას და ამ გაზაფხულზე, უფრო ზუსტად კი, გასულ 15 აპრილს მივხვდი, რომ ფორმულა ზუსტი არ იყო. ჩემი ორმოცწლიანი წამების შემდეგ 1 - $\sqrt{VC}: t - 1 = X$-მა ასეთი სახე მიიღო: 1 - $\sqrt{VC}: t - 1 = 0$, ანუ ყველაფერი ის, რაც კვადრატულ ფესვშია, ნულია და 1-0-1=0. აი, აქ ეტევა

კაცობრიონის წარსული, აწმყო, მომავალი. ამ-იტომ არაფერშია არაფერი, ბოლოს ყველაფერი ნულია.

ხელი ავწიე შეკითხვის დასასმელად.

- ვიცი, ძმაო ტატო, რაც უნდა მკითხო და გპა-სუხობ: არსებობს და როგორ არსებობს, რომ იცოდე. იმდენად დიდია, ყველა ადამიანშია, ყველა ხედავს, ყველას უსმენს და როცა კის-რის მოსატეხად ასჯერ გაქცეულებს ასჯერვე შეგვაჩერებს და ასმეერთედ მაინც ვიღუპებით, ეს ჩვენშივე დამონებული მისი მოწინააღმდე-გე ლაწირაკის შემოქმედებაა, რომელმაც დიდი შეგონება დაგვარღვევინა: - არ გამოსცადო უფ-ალი შენი!

- ეეე, მოიცათ, ნუ გააჭენეთ. ლაწირაკში თუ სატანას გულისხმობ, მაშინ მესმის და გასაგე-ბია, რაც გვითხარი, - ჩაერია თომა“ (ზაალ ნემ-საძე, „სცენარები“. გვ. 43-44.

2. ...„შემიძლია ჩემი გამოცდილება და ზრახ-ვები მატერიად, ანუ ხელშესახებად ვაქციო. ყოველგვარი ინტერნეტისა და ტელევიზიის გარეშე შუა ევროპიდან ბრაზილიაში ვუყურო კარნავალს და ფეხბურთს; სამ-ოთხ მზეს ვხე-დავ ცაზე, ღამეშიც დღესავით ვხედავ. განუ-საზღვრელი შესაძლებობების ადამიანი ვარ. როცა ყველაფერს შეგასწავლით, დარწმუნდე-ბით, რომ დღეს არ არსებობს დაავადება, რომ-

ლის მორჩენაც მედიცინას არ შეუძლია. ადამიანმა შეიძლება 150-200 წელი იცოცხლოს ჯანმრთელად და ბედნიერად, მაგრამ სამედიცინო მედიკამენტების მონოპოლისტები ყველას მოსპობენ, ვინც ადამიანებისთვის ამ სიკეთის გაკეთებას კი არა, თუნდაც, თქმას შეეცდება. რა გგონიათ, ჩემსავით რომ შეეძლოს ყველას მობილურისა და ინტერნეტის გარეშე მიიღოს ყველა მისთვის საჭირო ინფორმაცია, რა დაემართება თანამედროვე ტექნოლოგიების შემქმნელებს და გამყიდველებს? ნებისმიერი წყლისგან შემიძლია სათბობ-საწვავის მიღება, ეკოლოგიურად უსაფრთხო და უფრო მაღალი ხარისხის, მაგრამ მომკლავენ ამის გაკეთებისთვის“ (ზაალ ნემსაძე, „სცენარები“... გვ. 54).

იქ, იმ სცენარში ფანტაზიას მივეცი გზა და... რამდენიმე წლის შემდეგ უფალმა (დიახ! მან და სხვა არავინ!) შემახვედრა ადამიანს, ზეციდან შობილს ანუ კეთილგონიერ ქრისტიანს - გია ნადარეიშვილს, რომელსაც შეუძლია ჩემი ის ფანტაზია განახორციელოს და თუ სათანადო ხელშეწყობა ექნება, ქვეყანას, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარს, შორს გაუთქვას სახელი.

თეოფანე დაყუდებული (1815-1894) ბრძანებდა: „უნდა გიხაროდეს, როდესაც რაიმეს დათმენა გიხდება, რადგან დათმენა ხსნის პი-

რობაა“. ამ პრინციპით ცხოვრობს და მოღვაწეობს გია ნადარეიშვილი და ხსნის გზაზე დგას. ხომ არ დადგა დრო, რომ ჩვენ, მისმა მადლიერმა პაციენტებმა ავიმაღლოთ ხმა და ვაიძულოთ, ქრისტიანული მორალის სრული დაცვით, ძლიერნი ამა წუთისოფლისანი, შეასრულონ შეგონება: „მიეცი ნიჭსა გზა ფართო...“

როგორც დიდმა მომღერალმა, ლუჩანო პავაროტიმ გახადა ოპერა სახალხო, ასევე დიდმა მკურნალმა, გია ნადარეიშვილმა გახადა მედიცინის უახლესი მიღწევები სახალხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. პირველი - იტალიის ქალაქ მოდენაში დაიბადა და უკანასკნელ ამოსუთქვამდე ემსახურა მსოფლიოს; მეორე - საქართველოში, ქარელში დაიბადა და დღემდე უშურველად ემსახურება პლანეტას. მაცხოვარი ჩვენი და უფალი ჩვენი, სწორედ იმისთვის მოვიდა, რომ მისი მოწაფეებისთვის მსახურება ყოფილიყო მთავარი და ღმერთის მაამებლობა. მგონი, ყველასთვის ნათელი გახდა, რატომ ვუწოდე გია ნადარეიშვილს ზეციდან შობილი!

და, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი. გია ნადარეიშვილს სამასზე მეტი ნათლული ჰყავს... ყველა მათგანი მისი გენიალური ჰომეოპათიური აზროვნების შედეგად მოევლინა სამყაროს უფლის ნებით. ამ უდიდესმა მკურნალმა უშვილობა დიდი ხანია დაამარცხა. 15-20 წლის უშვილო

წყვილი გაუბედნიერებია ამ სიტყვაძვირ, თბილი გამოხედვის და ვერცხლისწყალივით მოძრავ უფლის მსახურს.

სწორედ ამის გამო ვაღიარე იგი იესოს უპირველესი მოწაფის - წმინდა პეტრეს საქმის გამგრძელებლად!

სარჩევი

მადლმოსილი ---------- 3

მეორე ლოყის შეშვერის მაგივრად---------16

რთული და მარტივი ----------33

ლოცვის ძალა ----------55

როგორ გამოიყურებოდა
წმინდა ნიკოლოზი? ----------58

ქრისტიანი და ბიბლია ----------65

ზაალ ნემსაძე

დაიბადა 1957 წელს, თერჯოლაში.

1980 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი.

მუშაობდა თერჯოლის კულტურის სახლის დირექტორად, კულტურის განყოფილების გამგედ, თერჯოლის პრეფექტის მოადგილედ, გაზეთების: „შანსი", „ალია", „ქრონიკა", ტელეკომპანია „ქართული TV", საგენტო „პირველის" ჟურნალისტად.

გადაღებული აქვს 7-სერიანი დოკუმენტური ფილმი „ხიკეთე მაინც მოდის", დოკუმენტური ფილმები: „წავიღებ თქვენს საყვარელს", „ბუტა რობაქიძე", „დიდი ვაზბეგში", „ღვთის თვალი", „ქართული სიტყვის სარდალი".

„პროფესორ გია ნადარეიშვილის ჯილდო" მისი მესამე წიგნია. მიღებული აქვს ნიკო ნიკოლაძის პრემია.

ყავს მეუღლე და სამი შვილიშვილი: თათია, მარიამ და ბარბარე ნემსაძეები.

ISBN 978-9941-8-3572-8

9 789941 835728

გამომცემლობა „ივერიონი".
თბილისი. 2021.